MES 9 23 0000427051

18/04/2023

# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 31.03.2023**
**სხდომის დაწყების დრო:12.05**
**სხდომის დასრულების დრო: 19:00**
**საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი**
**საბჭოს მდივანი: რატი რატიანი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$ -ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიიღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრებ ი:**

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე** ;
2. **ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
3. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი**
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ -თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

9. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
10. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი
12. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
16. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
17. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.
18. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | **ლალიოდიშვილი** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |
| 2 | **ნინო სარჯველაძე** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 3 | **ნანა მიქავა** | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი |

**აკრედიტაციისექსპერტები**

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშ უალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ნინო პოპიაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | ზაალ კიკვიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 3 | ირმა ქურდაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 4 | ნატო ფერაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| 5 | ია ფანცულაია | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 6 | მანანა ხაჩიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 7 | მიხეილ რუხაია | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 8 | ინგა ბოჭოიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 9 | ნათია ოჩხიკიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 10 | თომას რენდელ უირი (Thomas Randal Wier) | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 11 | ელისო ფანცხავა | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 12 | თინათინ ბოლქვაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 13 | ანა ყიასაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 14 | ია ნაცვლიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 15 | გიორგი ბერიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 16 | მანანა ხაჩიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | VI |
| 17 | მაქსიმ იავიჩი | (ჩაერთო „ზუმით“) | VI |
| 18 | თამარ გვიანიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | VI |
| 19 | გიორგი დოლიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | VI |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

| **№** | **სახელი, გვარი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** | **სტატუსი** | **საკითხი** |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნინო დობორჯგინიძე | სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | რექტორი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 2 | რეზო მარსაგიშვილი | | პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 3 | ლევან ცაგარელი | | პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 4 | ირინა ლობჟანიძე | | პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 5 | ბელა წიფურია | | | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | |
| 6 | ნინო მატარაძე | | მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი | I |
| 7 | ნინო ჟვანია | | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 8 | მაკა ლაშხია | | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი | I |
| 9 | ელენე კიკალიშვილი | | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი | I |
| 10 | თამარ გეთიაშვილი | | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | I |
| 11 | ზაზა რუხაძე | შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი | ვიცე - პრეზიდენტი სასწავლო -სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში; | II |
| 12 | ქეთევან ჯინჭარაძე | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | II |
| 13 | გიორგი გაზისონია | | მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი სასწავლო -სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში; | II |
| 14 | გიორგი სოსიაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი | რექტორი | III |
| 15 | ალექსანდრე მღებრიშვილი | | რექტორის მოადგილე | III |
| 16 | ლევან მიდოდაშვილი | | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | III |
| 17 | ციური დურული | | სასწავლო პროცესის მართვია სამსახურის უფროსი | III |
| 18 | ლელა ალექსიძე | | ფაკულტეტის დეკანი | III |
| 19 | ლაურა ელიაური | | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | III |
| 20 | ბიძინა მიდოდაშვილი | | ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი | III |
| 21 | ვლადიმერ ღლონტი | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | IV, V |
| 22 | რუსუდან ხუხუნაიშვილი | | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი; | IV, V |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23 | ირა ბეჟანიძე | | ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; | IV, V |
| 24 | თეა ქოიავა | | ფაკულტეტის ხარისხი | IV, V |
| 25 | მაია ვანიძე | | ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი | IV, V |
| 26 | ივდით დიასამიძე | | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | V |
| 27 | მარინე გიორგაძე | | სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ ხელმძღვანელი; | IV, V |
| 28 | მარინე აროშიძე | | პროფესორი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ ხელმძღვანელი; | IV, V |
| 29 | მამია ფაღავა | | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლინგვისტიკა“ ხელმძღვანელი და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ ხელმძღვანელი; | IV, V |
| 30 | მაია ბარამიძე | | საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ფილოლოგია“ და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "ლინგვისტიკა" ხელმძღვანელი; მალხაზ ჩოხარაძე - პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ფილოლოგია“ ხელმძღვანელი; | IV, V |
| 31 | მალხაზ ჩოხარაძე | | საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ფილოლოგია“ ხელმძღვანელი; | IV, V |
| 32 | ნანა ტრაპაიძე | | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები“ ხელმძღვანელი | IV, V |
| 33 | ნათელა ფარტენაძე | | საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ფილოლოგია“ ხელმძღვანელი; | IV, V |
| 34 | თემურ ავალიანი | | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ლინგვისტიკა“ ხელმძღვანელი. | IV, V |
| 35 | რამაზ ხალვაში | | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები“ | IV, V |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ხელმძღვანელი და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ ხელმძღვანელი; | |
| 36 | თეონა ხუფენია | სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | VI |
| 37 | ლილი პეტრიაშვილი | | პროგრამის ხელმძღვანელი | VI |
| 38 | ნონა ოთხოზორია | | პროგრამის ხელმძღვანელი | VI |
| 39 | ქეთევან ლატარია | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი | VI |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**
1.შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2.სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, „ლინგვისტიკისა" და "ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო, „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
6.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" და "ლიტერატურათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, ,,შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის" და "გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის აკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**
- დიახ

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" და "ლიტერატურათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, ,,შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის" და "გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის აკითხის განხილვა.
2. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, „ლინგვისტიკისა" და "ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო, „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**1 საკითხი.** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" და "ლიტერატურათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, ,,შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის" და "გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის აკითხის განხილვა.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართული ფილოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)<br>Georgian Philology (Major/Minor) |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 30.09.2011<br>N68 გადაწყვეტილება |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთის მცოდნეობა, იტალიის მცოდნეობა, |

| | | |
|---|---|---|
| | | სლავისტიკა,<br>აღმოსავლეთმცოდნეობა,<br>ისტორია,<br>არქეოლოგია,<br>ხელოვნებათმცოდნეობა,<br>კინომცოდნეობა,<br>ლიტერატურათმცოდნეობა,<br>ქართული ფილოლოგია) |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში<br>BA in Georgian Philology |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ლიტერატურა და ლინგვისტიკა - 0232 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის<br>გამზირი N32, თბილისი, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ლიტერატურათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითის პეციალობა)<br>Literary Studies (Major/Minor) |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| | |

| | |
|---|---|
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 30.09.2011; N68 გადაწყვეტილება |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთის მცოდნეობა, იტალიის მცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია) |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | VI |
| კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოლოგიაში<br>BA in Philology |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ლიტერატურა და ლინგვისტიკა - 0232 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| განხორციელების ადგილი | კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (Comparative Literary Studies) |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 30.09.2011; N70 |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | VII |
| კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში MA in Comparative Literary Studies |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ლიტერატურა და ლინგვისტიკა - 0232 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| განხორციელების ადგილი | კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე | - |

| | |
|---|---|
| სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | |

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | გამოყენებითი ენათმეცნიერება (Applied Linguistics) |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 02.08.2012; N294 |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | გამოყენებითი ენათმეცნიერება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | VII |
| კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანტარული მეცნიერებების მაგისტრი ენათმეცნიერებაში MA in Linguistic |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ლიტერატურა და ლინგვისტიკა - 0232 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| განხორციელების ადგილი | კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა (Linguistic and Literary Studies) |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 30/09/2011; N73 |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | VIII |
| კვალიფიკაციის დასახელება | ფილოლოგიის დოქტორი PhD in Philology |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ლიტერატურა და ლინგვისტიკა - 0232 |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 42 ESTS |
| განხორციელების ადგილი | კორპუსები A, B, C და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ დიახ**
თვითაცილება განაცხადა ირინე ებრალიძემ და მარინა მაისურაძემ .
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა პოზიცია და აღნიშნა, რომ აღნიშნული კლასტერი აერთიანებდა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო, ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობით "გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს. შეფასების პროცესი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით 2022 წლის 21-23 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დაწესებულება ძირითადად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, არსებობს ასევე რიგი გასაუმჯობესებელი მხარეები რომლებიც მეტ ყურადღებას საჭიროებენ დაწესებეულების მხრიდან. საერთო ჯამში პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მე-2, მე-4 და მე-5 სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ხოლო მე-3 სატანდარტში სამაგისტრო პროგრამები სრულ ხოლო საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები მეტწილად შესაბამისობაშია სტარნდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯფუმა მოახდინა 6 საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება მათ შორის უნივერსიტეტის ხედვა თუ როგორ შეიმუშავონ კლასტერი ყველა საფეხურის სტუდენტებისთვის სათანადო არჩევანის უზრუნველსაყოფად, არგუსის პლადფორმის განვითარება და გამოყენება, სტუდენტთა აკადემიურ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა. გარე მოწვეული ექსპერტების ჩართვა. გაცემული რეკომენდაციები ეხება მეტწილად სწავლის შედეგების ფორმულირებებს, სტაჟირების ხელმისაწვდომობას ბაზართან დაახლოების მიზნით. წყაროების სათანადო მითითებას სილაბუსებში. ვებგვერდის ინგლისურეოვანი მასალის განახლებას, პერსონალის შერჩევას და განაწილებას, პროგრამების დახურვის პროცედურას და სხვა. გაიცა ასევე რჩევები, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით უნივერსიტეტი აუცილებლად გაითვალისწინებს. საბოლოო ჯამში ჯგუფმა დაინახა რომ უნივერსიტეტი მიჰყვება ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებას კონკრეტულ კლასტერთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრი ნინო პოპიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ როგორც საერთაშორისო ექსპერტთან, ისე დაწესებულებასთან თანამშროლობა მათთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო. ნინო პოპიაშვილმა განმარტა, რომ დასკვნაში, დასაწყისში წარმოდგენილია საერთო კლასტერული რეკომენდაციები, ასევე მოცემულია ინდივიულაურად ცალკეული პროგრამების მიხედვით . გაეცნენ უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას და აღნიშნა, რომ გასაგები და მისაღები იყო ლიტერატურათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით სავალდებულო კომპონენტად შესული საბაკალავრო ნაშრომი და ეს რეკომენდაცია გადამუშავების შედეგ ამოღებული იქნა დასკვნიდან .

ირმა ქურდაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აჩვენა მაღალი დონე რომ ეს რეკომენდაციები ემსახურება კიდევ უფრო მეტ განვითარებას. აქვე აღნშნა, რომ ბოლო კვლევები ადასტურებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებულობას ყველა იმ კომპონენტში, რომელიც წარმატების ინდიკატორებს განსაზღვრავს.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დასკვნაში კლასტერულ ნაწილში შემუშავებული აქვთ ისეთი რეკომენდაციები, რომელც ყველა პროგრამას არ ეხება, მაგ: რეკომენდაცია საბაკალავრო პროგრამის ნაშრომთან დაკავშირებით, სტაჟირებასთან დაკავშირებით და ა.შ. მან განმარტა, რომ კლასტერის რეკომენდაციამ უნდა მოიცვას ყველა პროგრამა, აქედან გამომდინარე აღნიშნული რეკომენდაციები უნდა იყოს გაცემული ცალკეულ პროგრამებთან მიმართებით. გოდერძი ბუჩაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება სანამ აკრედიტაციას არ მიიღებს, უფლებამოსილია პროგრამა ვებგვერზე არ ჰქონდეს განთავსებული. გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნულ საკითხებზე განმარტება გაეკეთებინათ.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების უმრავლესობას ჯგუფმა მიიჩნია, რომ საერთო კლასტერულ რეკომენდაციად უნდა შემუშავებულიყო.
რაც შეეხება ვებ-გვერდზე პროგრამების განთავსებას, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ნამდვილად არ არის ვალდებული სანამ აკრედიტაცია არ ექნება ვებ-ვერდზე ინფორმაცია ჰქონდეს განახლებული, თუმცა ეს იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის პოზიცია რაც საბოლოოდ რეკომენდაციის სახით ასახა დასკვნაში.
ირმა ქურდაძემ დაამატა, რომ მათ ჰყავდათ ხელმძღვანელი საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა რომ ეს ყველაფერი ასე გლობალურად უნდა დაინახონ, გარე პერსპექტივიდან, შესაბამისად დასკვნამ მიღო ისეთი სახე როგორიც მიიღო.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ჟვანია მიესლმა დამსწრე საზოგადეობას და საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" და "ლიტერატურათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო, ,,შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის" და "გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო და "ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 2023 წლის 31 მარტს.
ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა საერთაშორისო ექსპერტებთან მუშაობის შესაძლებლობა სხვადასხვა პროგრამების აკრედიტაციის ფარგლებში მათ შორის კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებშიც, თუმცა ყველა შემთხევაში ყოველთვის იყო გათვალისწინებული ის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელიც მოქმედებს საქართველოში და უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში. გასაკვირი იყო დაწესებულებისთვის რომ ეს კონტექსტები მხედველობაში არ იყო მიღებული. საუბარია ვებგვერდთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რომ დაწესებულება არღვევდა სტანდარტს რაც ასე არ არის. დაწესებულება ვალდებულია განაახლოს ვებგვერდი მას შემდეგ, რაც პროგრამა ამოქმედდება. შესაბამისად ექსპერტი დაეყრდნო იმ ინფორმაციას რაც ვებგვერდზე იყო განთავსებული. ვებგვერდზე განთავსებულია პროგრამები ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით რომელიც აკრედიტებული იყო 2011 წელს. შესაბამისად ფიქრობენ რომ ექსპერტების დასკვნები გადასამოწმებელია, რაც მათ არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითეს თუმცა რეკომენდაცია ისევ დარჩა .
ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული 1-ლი და მე-2 რეკომენდაცია ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს

ვებგვერდზე განთავსებული კურიკულუმებიდან რაზეც ფიქრობენ რომ არასწორია. რაც შეეხება შენიშვნას სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ბოლონიის ინსტრუმენტებთან შეუსაბამობის ნაწილში, რომელიც ექსპერტის თქმით შესაძლოა პრობლემა შეუქმნას სტუდენტებს მობილობის და აღიარების შემთხვევაში, განმარტა რომ არც ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო, არც რეგულაციები უნივერსიტეტში და არც საერთაშორისო პრაქტიკა არ ითხოვს სავალდებულოდ სწავლის შედეგების კატეგორიზაციას იმ სამი ჯგუფის მიხედვით, რომელიც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არის გათვალისწინებული. ყველა ტენდენცია სწავლის შედეგების, ჩამოყალიბებების და გაზომვადობის მათი შეფასების ნაწილში ამბობს, რომ სწავლის შედეგები უნდა იყოს აკუმულირებული და რაოდენობრივი თვალსაზრისითაც მათი შეფასება უნდა იყოს რეალისტური. შესაბამისად დაწესებულება ამ მიდგომას და პრაქტიკას მიჰყვება. არ ჰგონიათ რომ ამით არღვევენ რაიმეს, აქამდე არ მომხდარა რაიმე შეფერხება საერთაშორისო მობილობის ნაწილში, აღიარების ნაწილში იქიდან გამომდინარე რომ მათი სწავლის შედეგები არ არის დაყოფილი სამ ჯგუფად. აქედან გამომდინარე დაწესებულება მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში რეკომენდაცია შესაძლოა ყოფილიყო უფრო რჩევის სახით.

რაც შეეხება 1.3 კომპონენტს, აღნიშნული ეხება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, დაწესებულება მიიჩნევს, რომ მათი მექანიზმები მაქსიმალურად კომპლექსური არის და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის. ამისთვის ძალიან დიდი კვლევითი სამუშაოები ტარდება, ასევე შეფასებითი კვლევები ტარდება, დაახლოებით 30-მდე სხვადასხვა კვლევას ატარებენ თითო პროგრამისთვის რომ შეფასდეს . ამიტომ ამ ნაწილშიც ვერ დაეთანხმებიან ექსპერტებს. ასევე უცნაურია რატომ მოხდა მთლიანი კლასტერის შეფსება , რომელიც არცთუ ისე რელევანტურია . ეს არის სტანდარტი 2.2 , რომელიც ეხება კვლევითი უნარების და პრაქტიკული უნარების განვითარებას . გასაგებია , როგორ უნდა იქნეს ეს გათვალისწინებული სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში . რა მოდელი უნდა იყოს ეს სადოქტორო პროგრამის საფეხურზე . პროგრამა ამ ნაწილში შეფასებულია , როგორც მეტ წილად შესაბამისი . თქვა , რომ უშუალოდ პრაქტიკის მიზეზით დაწევა სადოქტორო საფეხურის პროგრამის შეფასების მეტ წილად შესაბამისობაზე არ ჰგონიათ , რომ იყოს ეფექტური მიდგომა პროგრამის შეფასებისადმი. სხვა რაიმე მიზეზი სადოქტორი პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული .

რაც შეეხება 3.1 კომპონენტის შეფასებას, რომელიც ეხება სტუდენტების კონსულტირებას და სტუდენტების დახმარებას, ქვესტანდარტის აღწერით და შეფასებით ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სადაც არის პროგრამის რამდენიმე ხელმძღვანელი, მათ შორის გაიწეროს თუ როგორ ნაწილდება ხელმძღვანელებს შორის პასუხისმგებლობები. იმიტომ რომ სტუდენტების მხრიდან კითხვების არსებობის შემთხვევაში უნდა იცოდნენ თუ რომელ ხელმძღვანელს უნდა მიმართონ და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით არსებობს რისკი რომ შეიძლება არ მოხდეს სტუდენტების ინფორმაციის უზრუნველყოფა ხელმძღვანელებისგან პროგრამასთან დაკავშირებით. აღნიშნული აღწერის გამო დაწეულია შეფასება ყველა პროგრამასთან მიმართებით. ყველა პროგრამა შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული არსებული არგუმენტაცია ამ სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელებისთვის ბუნდოვანია.

რაც შეეხება 3.2 კომპონენტს, რომელიც ეხება სტუდენტების სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელობას არანაირი მიზეზი და არგუმენტი არ არის მითითებული რატომ არის სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში მეტწილად შესაბამისი. მაშინ როდესაც ერთადერთი მიზეზი, რომელიც არის მითითებული არის ის რომ მოწვეული პერსონალის შემთხვევაში შეიძლება იყოს წყვეტა ხელმძღვანელობის საკითხთან დაკავშირებით. თუ მოწვეულია პერსონალი მას არ აქვს გრძელვადიანი კონტრაქტი უნივერსიტეტთნ შესაბამისად რისკია რომ შეიძლება მან ვერ უხელმძღვანელოს გრძელვადიანად სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ამიტომ თადარიგი უნდა დაიჭირონ. ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ მათ სადოქტორო პროგრამაში არცერთი მოწვეული პერსონალი არ არის ჩართული ამიტომ აქ არ დგას საკითხი

არც წყვეტის და არც კომპეტენციის. შესაბამისად ბუნდოვანია რატომ არის შეფასებული სადოქტორო პროგრამა მეტწილად შესაბამისი. მაშინ როდესაც ორივე სამაგისტრო პროგრამა შეფასებულია , როგორც მეტწილად შესაბამისი. პერსონალის შეფასების ნაწილში რომელიც არის 4.1 სტანდარტი. მითითებულია რომ ყველა პერსონალს, რომელიც ამ პროგრამაშია ჩართული აქვს დოქტორის ხარისხი.

დაწესებულების წარმომადგენელი, ლევან ცაგარელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან განაცხადა, რომ რიგ შემთხვევაში რეკომენდაციები მოცემული იყო არა სტანდარტზე დაყრდნობით არამედ უცხოელი ექსპერტის სუბიექტურ გამოცდილებაზე დაყრდნობით. რაც არასწორია. ასეთია შენიშვნა, რომელიც გულისხმობს რომ პროგრამაში ჩაშენებული უნდა იყოს პრაქტიკა. აღნიშნა რომ ეს გასაგებია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის რომ საქმე ეხება ფილოლოგიის პროგრამას, გასათვალისწინებელია დასავლური გამოცდილებაც. მან განაცხადა, რომ არ ახსენდებოდა არცერთი ფილოლოგიური პროგრამა, სადაც სტაჟირება არის სავალდებულოდ ჩაშენებული. სტაჟირების ფუნქციას მათ დარგში ასრულებს ნებისმიერი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც საგნებშიც შეიძლება იყოს ჩაშენებული. ამიტომ მისი აზრით ეს რეკომენდაცია არა რელევანტურია. ასევე იყო რეკომენდაცია რომელშიც ექსპერტები უნივერსიტეტის ჯგუფს ავალდებულებდა აუნაზღაუროს დოქტორანტების ხელმძღვანელობის კანდიტატს პროფესორს მუშაობა დოქტორანტობის კანდიდატთან. რაც შეიძლება , მათ აქვთ ჯამური თვითშეფასება ჯამური ანაზღაურება ისინი არ მუშაობენ აკადემიური პედაგოგიური დატვირთვით. მათ აქვთ კვლევითი დატვირთვა ადმინისტრაციული დატვირთვა რაც ანგარიშგება მათ თვითშეფასებაში ორ წელიწადში ერთხელ. შესაბამისად ასეთი რამის დავალდებულება უცნაურად მიაჩნიათ, მითუმეტეს მაშინ როდესაც არცერთ დასავლურ სტანდარტში არ ჯდება .

რაც შეეხება მე-13 რეკომენდაციას, სადაც კლასტერული რეკომენდაციები არის გაცემული, რომელიც უნდა ეხებოდეს ყველა პროგრამას, თუმცა რეკომენდაცია ეხება მხოლოდ საბაკალავრო პროგრამას, რაც გაუგებრობას იწვევს დაწესებულებისთვის. ლევან ცაგარელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა სრული სია პროგრამაში ჩართული პროფესორების, გარდა ამისა როდესაც ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვა დოკუმენტები პერსონალთან დაკავშირებით ჩაშლილად ჰქონდათ მითითებული რიცხვები კონკრეტულად რამდენი პროფესორია ჩართული და მათგან რამდენია ხელმძღვანელი, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებთან მიმართებით. მან განაცხადა, რომ ყველა ხელმღვანელს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, გარდა ამისა საქართველოს კანონმდებლობა გვეუბნება რომ კვალიფიკაცია დასტურდება ხარისხითაც და გამოცდილებითაც. მათ ჰყავთ პერსონალი ჩართული პროგრამაში, რომელსაც არ აქვს დოქტორის აკადემიური საბაკალავრო საფეხურზე, მაგრამ მათ აქვთ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობასთან არ მოდის წინააღმდეგობაში. ამიტომ დაწესებულებისთვის გაუგებარია რა კვალიფიკაციის ნაკლებობაზე და შეუთავსებლობაზე ეს რეკომენდაცია მოცემული.

დაწესებულების წარმომადგენელი, ბელა წიფურია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან განაცხადა, პროგრამა აუცილებლად უნდა იყოს ინტერნაციონალიზებული. პროგრამების, როგორც სწავლების ასევე კვლევის ნაწილში საერთაშორისო შეფასება და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა ამ ინტერნაციონალიზაციის ამოცანის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. თავადაც ერთის მხრივ არიან საერთაშორისო ჟურნალების, საერთაშორისო პროექტების შემფასებლები მეორეს მხრივ ელიან რომ ის უცხოელი ექსპერტი რომელიც იმუშავებს ქართულ მასალაზე , ქართულ კანონმდებლობას უკეთ გაიგებს, ეს არის რა თქმა უნდა სამომავლო სურვილიც . და ქართველი ექსპერტების მიცემულ რეკომენდაციებსაც უფრო გაითვალისწინებენ. მან აღნიშნა, რომ მათი პერსონალი არის მაღალკვალიფიციური რაც დასტურდება იმ დოკუმენტებითაც , რომელიც გადაეგზავნა ექსპერტებს . ამაყობენ ასევე , რომ მათ ჰყავათ ლიტერატურის მიმართულებით ცნობილი ქართველი მწერლები. რაც ამ მიმართულების სტუდენტებისთვის ნამდვილად არის პრივილეგია. დაწესებულების

წარომადგენლები ამ რეკომენდაციის პათოსს ვერ დაეთანხმებიან და ვერ იტყვიან უარს, რომ პრაქტიკოსი წევრები არ ასწავლიდნენ მათი პროგრამების ფარგლებში . რაც შეეხება ყველა პროფესორის მუშობის გაზომვადობას და მის მონეტიზაციას ასე არ ხდება. ყველა სამუშაოს რასაც პროფესორი გასწევს თუნდაც სადოქტორო პროგრამაზე შემოსვლის მსურველი, სადოქტორო განაცხადზე მუშაობა და რეკომენდაციების მიცემა მომავალი კანდიდატისთვის არ შეიძლება იყოს მონეტიზებული. შესაბამისად ეს დეტალები არგუმენტირებულ პოზიციაში არის ასახული.

ნინო დობორჯგენიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, შესაბამისად არ ეთანხმება ექსპერტების რეკომენდაციას. მან დამატებით აღნიშნა რომ დაწესებულებაში ყველა კვლევითი პროექტი არის აუცილებლად მიბმული და დაფინანსებული უნივერსიტეტის შიდა და გარე დაფინასებით. მათთან არ არის პროექტები, რომელსაც არ აქვს ინსტიტუციის მხარდაჭერა.

დაწესებულების წარმომადგენელი მაკა ლაშხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ისაუბრა რეკომენდაციაზე რიდერებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაწესებულების მიმართ დაისვა კითხვა, თუ რიდერების რამდენ პროცენტს აწვდიდნენ სტუდენტებს, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციის თანხმად არის 40 % ზღვარი დაშვებული რიდერებისთვის, რაც ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით აღმოჩნდა დიდი რაოდენობა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება თვლის აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაცია არ არის შესაბამისი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო მატარაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ის ინფორმაცია რომელიც მზადდება რიდერის სახით ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ კურსის სტუდენტისთვის და მასზე წვდომა შეიძლება მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტით. კანონი არ აწესებს ზღვარს, თუმცა უნივერსიტეტმა მიიღო 40 % ზღვარი.

მაკა ლაშხიამ ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა რამდენიმე კურსის ფარგლებში მითითებულ რუსულენოვან ლიტერატურას, რაზეც მაკა ლაშხიამ განმარტა, რომ მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა, თუმცა ლიტერატურის საფუძველზე დამზადებულია ქართულენოვანი რიდერი. მან დამატებით აღნიშნა, რომ ძირითად ლიტერატურაში აღნიშნული ლიტერატურა რუსულ ენაზე არ არის სტუდენტებისთვის მიწოდებული. აქვე დაამატა , რომ სტუდენტი როდესაც ამთავრებს ამ კურს მერე აღარ აქვს წვდომა იმ რიდერზე, წვდომა აქვს მხოლოდ იმ სემესტრის განმავლობაში .

მაკა ლაშხიამ ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა ცალკეულ კურსებზე ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის წინაპირობად განსაზღვრას და განმარტა, რომ პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსების წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე განსაზღვრა არ არის საჭირო, რადგან პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის B2 დონე და შესაბამისად, პროგრამის ყველა სტუდენტს აქვს აღნიშნული კომპეტენცია.

მაკა ლაშხიამ ასევე განმარტება გააკეთა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება: „კლასტერმა უნდა შეიმუშაოს შეფასების მექანიზმები, რომლებიც სწავლის შდეგს გახდის რელევანტურს, კარგად ჩამოყალიბებულს და მიღწევადს და რომელიც დაადასტურებს კავშირს სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის შემუშავებას შორის“, მან განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებობდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც რეგულირდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების“ საფუძველზე. მან დამატებით აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე არსებობს პროგრამაში განხორციელებული ყველა სახის ცვლილების რეესტრი. პროგრამის ხელმძღვანელისა და სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული ნებისმიერი სახის პროგრამული ცვლილება ინახება პროგრამის განვითარების ისტორიაში.

ნინო დობორჯგენიძემ დატვირთვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აფილირებულ პროფესორს არ აქვს უფლება 5-ზე მეტი დოქტორანტის ხელმძღვანელობის უფლება. რაც განსაზღვრულია საუნივერსიტეტო დონეზე. ამასთანავე არსებობს დატვირთვის განმსაზღვრელი დოკუმენტი რომ სრული პროფესორის შემთხვევაში ეს არის კვირაში 6 საათი სალექციო დატვირთვა. ასოცირებულის შემთხვევაში 8 საათი, ხოლო ასისტენტ-პროფესორის შემთხვევაში 12 საათი. გაუგბარია რასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**
საბჭოს წევრი, ქეთევან ზურაშვილი მიესლმა დამსწრე საზოგადოებას და მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ჯგუფის მიერ პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება მოხდა 2011 წელს აკრედიტებული პროგრამების მიხედვით, რომლებიც იყო განთავსებული უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როდესაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ სწავლის შედეგებს შეფასება ხორციელდება 2011 წლის სწავლის შედეგებით მოხდა ხელმძღვანელობა?
ექსპერტმა ნინო პოპიაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშით და უნივერსიტეტის მიერ მომზადებული ახალი პროგრამების მიხედვით, რაც ხელახალი აკრედიტაციისთვის იქნა შემოტანილი ილიას უნივერსიტეტის მიერ.
ირმა ქურდაძემ დაამატა რომ მათ დეტალურად ნახეს 2011 წელს გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია განახლებულ დოკუმენტაციებში რომელიც მომზადდა რეაკრედიტაციისთვის და აღნიშნეს რომ ძლიერი მხარეა ის რომ გარე შემფასებლები და დამსაქმებლები ჰყავთ, მეტიც 2011 წლის რეკომენდაციებიც გათვალისწინებულია.
გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა კითხვით ექსპერტთა ჯგუფს, ექსპერტთა ჯგუფის მეირ გაცემული რეკომენდაცია სწავლის შედეგებთან დაკავშირებით ეხებოდა თუ არა კლასტერში არსებულ ყველა პროგრამას.
ექსპერტმა განმარტა, რომ მათი მოსაზრებები და შეხედულებები იყო შეჯერებული ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ, რომელსაც დამატებით კიდევ თავისი შეხედულებები ჰქონდა. ეს ეხებოდა განსაკუთრებით იმ საკითხებს რომელსაც ღრმად იცნობდა როგორც ექსპერტი მათ შორის იყო სწავლის შეფასების კომპონენტები.
ნათია ზედგინიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ყურადღება გაამახვილა 1.5 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას, რომელიც კონკრეტულად გამოყენებითი ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამას ეხებოდა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის პოზიციაა, რომ არსებული სავალდებულო და ძირითადი ლიტერატურა მიუღებელია მაღალი დონის აკადემიური ინსტიტუციისთვის, კლასტერულ შეფასებაშიც რეკომენდაციის სახით არის გაწერილი სხვა კონტექსტით, რომ სრულად უნა იყოს სასწავლო სილაბუსებში ასახული ძირითადი ლიტერატურა. ნათია ზედგენიძემ მიმართა კითხვით ექსპერტთა ჯგუფს, თუ აღნიშნული რეკომენდაცია კლასტერულად ეხება ყველა პროგრამას, 1.5 კომპონენტში რატომ არ არის გაწერილი, რაც შეეხება მეორე კითხვას რას ნიშნავს მიუღებელია მაღალი დონის აკადემიური ინსტიტუციისთვის, სწავლების საფეხურს არ შეესაბამება წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურა?
ნათია ზედგინიძემ 3.1 ქვესტანდარტში სადაც კლასტერული რეკომენდაციაა , რომელიც ეხება პროგრამის პროგრამის ხელმძღვანელებზე განისაზღვროს მკაფიოდ პასუხისმგებლობის საკითხი სტუდენტებთან კომუნიკაციის მიმართებით ითხოვა ამ რეკომენდაციის დამატებით განმარტება.
შემდეგი კითხვა, რომელიც ეხება პროგრამაში სწავლის შედეგებს ეს არის 1.2 ქვესტანდარტი რომელიც ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობას სამაგისტროს პროგრამებს, სადაც ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ფორმულირებები შესაბამისობაში არ არის ბოლონიის მოთხოვნებთან . ექსპერტთა ჯგუფს მიმართა კითხვით, თუ ასეთი მძიმე შეფასება რატომ არის კომპონენტი შეფასებული როგორც მეტწილად შესაბამისობაშია და არა სხვა შეფასება.

ნინო პოპიაშვილმა განმარტება ბოლო კითხვიდან დაიწყო, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა ეს არის საერთაშორისო ექპერტის მუშაობის ერთ-ერთი ასპექტი, რომ ის სწორად ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვდა პროგრამების სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ბოლონიის პროცესის შესაბამისობასთან მიმართებით. მან განმარტა, რომ ქართული კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას სწავლის შედეგები არ იყოს გაწერილი კონკრეტული ჩარჩოს მიხედვით მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ უმაღლესი საგანანმანათლებლო სისტემა საბედნიეროდ არის საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემის, ბოლონიის პროცესის ნაწილი, რის შედეგადაც ხდება სტანდარტიზაცია პროგრამების დადარება, მათ შორის აღიარება როგორც საქართველოში მიღებული განათლებისა ასევე პირიქით. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ქართული ფილოლოგია თავის მხრივ ამ სტანდარტიზაციას ბოლომდე ვერ მოიცავს და ვერ ასახავს. თუ არა ის ძირითადი შესავალი კურსები, როგორიც არის აკადემიური წერა, ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, ენათმეცნიერების შესავალი და ა.შ. ეს სტანდარტიზაცია ჩვენს დარგში ძალიან რთულია. მიღწევა შესაძლებელია სწორედ ამ სწავლის შედეგების სტანდარტიზაციით, რომელიც არ არის უშუალოდ პროგრამის შინაარსებზე დამოკიდებული. ეს იყო ძირითადი ამოსავალი , რომ ამ კუთხით შესაბამისობები შემგომ დამდგარი პროგრამის სწავლის შედეგებში უკვე ასახული შესაბამისობები , როგორღაც იყოს სტანდარტიზებული იმ მხრივ მაინც ,რომ არ გაძნელდეს ეს აღიარებითი პროცესები.
ნათია ზედგინიძემ აღნიშნა, ქართველი ექსპერტების მოსაზრებით ეს შეფასება სწავლის შედეგებთან დაკავშირებით სრულად შეესაბამება მის სიმძიმეს საუბარია მეტწილ შეფასებაზე .
ზაალ კიკვიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან განმარტა, რომ, საუბარი იყო ლიტერატურის შეუსაბამობაზე, სამაგისტრო პროგრამაში ყველა საკითხი არის ძალიან მაღალი დონის , რაც აღწერით ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნულია.
ექსპეტმა კლასტერულ რეკომენდაციათან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს საკითხი დაფიქსირდა თვითონ აკრედიტაციის პროცესის დროსაც, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს გარკვეული კითხვები ჰქონდა თუ როგორ რეგულირდება პროგრამის ხელმძღვანელების მხრიდან მათი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელს რომელი ნაწილი ეხება, მსგავსი შეკითხვები დასვა ასევე შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მათ შორის მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით, სტაბილურ კონტრაქტთან დაკავშირებით და ა.შ.
ნათია ზედგინიძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა ქართველ ექსპერტსა და ექსპერტთა თავმჯომარეს შორის იყო ერთგვარი შეუთანხმებლობა რიგ რეკომენდაციებზე, მიდგომებზე რომელიც საბოლოო ანგარიშში არის ასახული?
ირმა ქურდაძემ აღნიშნა რომ, ექსპერტთა ჯგუფს მთელ რიგ საკითხებზე ჰქონდათ პოლემიკები. შესაბამისად მათ ძალიან ბევრი შეხვედრა და მსჯელობაც ჰქონდათ. შესაბამისად დასკვნა არის ისეთი როგორიც არის.
ნინო პოპიაშვილმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ ხედვა პერსპექტივიდან, რომელებიც ერთმანეთს არ ემთხვეოდა. რასაკვირველია ორივე მხარეს ჰქონდა არგუმენტები. მაგრამ ამ პროცეს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ექსპერტი.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით, მათ აქვთ პროფესორის ასისტირების 12 კრედიტიანი კურსი. როდის იწყება და როდის მთავრდება აღნიშნული კურსი ?
მაკა ლაშხიამ აღნიშნა, რომ ეს არ არის კურსი ეს არის უბრალოდ ასისტირების კომპონენტი რომელსაც წერს დოქტორანტი ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. სხვადასხვა მიმართულებით ეს შეიძლება იყოს სასწავლო ასისტირება, კონკრეტული კურსების ჩატარება, საშინაო დავალებების გასწორება და ა.შ. წარმოდგენილ დოკუმენტებში დევს ასისტირების კონცეფცია, სადაც დეტალურად არის გაწერილი ყველაფერი. ასევე შესაძლოა იყოს კვლევითი ასისტირება სტატიის მომზადება და ა.შ. ამ შემთხვევაში დოქტორანტმა ასისტირება შეიძლება გააკეთოს მეორე სემესტრიდან, რაც არის ორის სახის. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით ამ პროგრამაში სასურველია რომ ასისტირება იყოს 12 კრედიტის მოცულობით. აქვს წინაპირობა,

კერძოდ ტრენინგ-კურსი, რომელიც არის მრავალფეროვანი. ტრენინგები ცხადდება ყოველ სემესტრში, თუმცა ასისტირების კომპონენტი იწყება მეორე სემესტრიდან . შეიძლება 12 კრედიტი ერთ სემესტრშივე მოაგროვოს, რაც არასოდეს არ მომხდარა. მას შეუძლია ეს ნელ-ნელა დააგროვოს, რამდენიმე სემესტრში დააგროვოს თუმცა ის გრძელდება მე-9 სემესტრის ჩათვლით მანამ სანამ ის წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს.
გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, გასაგებია რომ სადოქტორო დონეზე არის ორი კომპონენტი სასწავლო და კვლევითი. სასწავლო კომპონენტს რა თქმა უნდა აქვთ თავისი განსაზღვრული შეფასების მიდგომები. როდესაც საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტზეა საუბარი ეს კომპონენტი ფასდება იმავე სემესტრში რომელშიც დაიწყო. თუ ეს სასწავლო კომპონენტია იმავე სემესტრში როგორ ხდება შეფასება .
ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ ეს არის სასწავლო კომპონენტის ნაწილი, სწორედ ამიტომ აქვს მინიჭებული კრედიტები, მას აქვს თავისი მიზანი და სწავლის შედეგები. შესაძლოა 12 კრედიტიდან დოქტორანტმა დააგროვოს 1 ან 2 კრედიტი სემესტრში. დათვლილია ასევე საათობრივად თუ რა სახის დატვირთვას გულისხმობს. შესაბამისად ჯამდება სემესტრის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები დოქტორანტის მიერ გადაიყვანება საათებში და შემდეგ ანგარიშდება კრედიტებში. 1 ან 2 კრედიტის დაგროვება ხდება 1 სემესტრის ფარგლებში და იმავე სემესტრში ხდება შეფასება, მისი შეფასება ეყრდნობა ხელმძღვანელის შეფასებას. ეს კომპონენტი კი რამდენჯერმე შეიძლება განმეორდეს. მაგალითად პროგრამას შეიძლება ჰქონდეს სემინარი 1,2,3. მოდელის მიხედვით შეიძლება ერთი და იგივე იყოს. ასისტენტმა შეიძლება რამდენიმე კრედიტი დააგროვოს სემესტრში , მაგრამ სემესტრიდან სემესტრამდე რამოდენიმეჯერ ისევ დააგროვოს ეს კრედიტები. შეფასება ხდება იმავე სემესტრში რათა კრედიტები ჩაეთვალოს .
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ირმა ქურდაძემ თქვა , რომ ძალიან საინტერესო მოდელია და სულ ხდება ასისტირება რაც მუდმივად ზრდის დოქტორანტებს .
ბელა წიფურიამ აღნიშნა, რომ მათ ერთგვარად აქვთ ისეთი წარმოდგენა, რომ დოქტორანტი ამ კომპონენტით ერთგვარად სწავლობს სწავლებას და კვლევას. ის იღებს სწავლების გამოცდილებას, თუ კი ხელმძღვანელი გადაწყვეტს მას შეუძლია სემინარი დამოუკიდებლად ჩაატაროს.
ნინო დობორჯგენიძემ დაამატებით განმარტა, რომ ეს კომპონენტი უკვე შეიცვლა მას შემდეგ რაც საერთაშორისო სადოქტორო სკოლა გაიხსნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და სწორედ მათი სადოქტორო პროგრამა არის მისი ნაწილი და პირველად გასცა ორმაგი ხარისხი ქართულენოვანმა პროგრამებმა გერმანიის უნივერსიტეტთან ერთად სწორედ ენათმეცნიერების მიმართულებით. სვეტლანა ბერიკაშვილი არის პირველი დოქტორანტი რომელმაც ამ ტიპის ასისტირებით გაიარა როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში სწავლება და მიიღო ხარისხი.
გოდერძი ბუჩაშვილმა დაადასტურა ე.ი ამ პროგრამას არ აქვს განსაზღვრული როდის მთავრდება სასწავლო კომპონენტი, პროფესორის ასისტირების ნაწილში და როდის იწყება, ვინაიდან სასწავლო კომპონენტი არის 9 თვის განმავლობაში.
რაზეც უპასუხეს რომ მე-9 სემესტრამდე.
გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, რომ ეს კომპონენტი შეიძლება ასე იმიტომ ხორცილედბა რომ ეს კომპონენტი კვლევასთან არ არის დაკავშირებული ?
ნინო ჟვანიამ თქვა , რომ პროგრამაში ეს მოიაზრება როგორც სწავლების კომპონენტი. ასწავლიან როგორ ასწავლონ აუდიტორიაში და ასევე ასწავლონ კვლევა როცა თვითონ პროფესორი გახდება.
გოდერძი ბუჩაშვილმადააზუსტა იყო თუ არა აღნიშნული კომპონეტი დოქტორანტის დისერტაციასთან დაკავშირებული?
რაზეც უპასუხეს , რომ არა. თუ ის კვლევით ასისტირებას ეწევა, ის სხვა ტიპის და სხვა შინაარსის ნაშრომის მომზადებაში ეწევა ასისტირებას და არა საკუთარი ნაშრომის.
საბჭოს წევრი თამარ სირაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, რა რაოდენობის სტუდენტები არიან საბაკალავრო

პროგრამაზე და როგორია მათი თანაფარდობა ლიტერატურათმცოდნეობის და ქართული ფილოლოგიის შემთხვევაში.
მაკა ლაშხიამ განმარტა, რომ ქართული ფილოლოგია ეს არის დაფინანსებული პროგრამა, რომელზეც წლიურად საშუალოდ 60-70 სტუდენტს იღებენ, რაც შეეხება ლიტერატურათმცოდნეობას თქვა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე მოდის სტუდენტი, რომელსაც კონკრეტულად ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით სურს ცოდნის მიღება. წლიური მაჩვენებელი პროგრამაზე დარეგისტრირების არის 20-25. მან აღნიშნა, რომ ეს არ არის დიდი პროგრამა, მაგრამ არის მოთხოვნადი. კვალიფიკაციის, აკრედიტაციის, დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე რაღაც დროით შეჩერდა შიდა მობილობა, რის შესახებაც ბევრმა სტუდენტმა დაწერა განცხადება თუ რატომ იყო პროგრამა შეჩერებული.
ბელა წიფურიამ განმარტა, რომ დეტალური სტატისკია შედმეგია: ქართულ ფილოლოგიაზე 385 სტუდენტია, 54 სტუდენტია აქტიური. რაც შეეხება ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამას საბაკალავრო დონეზე ამ მიმართულებით პირველები არიან. აღნიშნა , რომ ერთი კვირაა დამტკიცდა ლიტერატურათმცოდნეობის და შედარებითი ლიტერატურათმცოდნების დარგობრივი მახასიათებელი ამ მახასიათებლის კომისიაც შეიქმნა ილიას უნივერსიტეტის ინიციატივის საფუძველზე. რაზეც მათი კოლეგებისგან შემდგარი ჯგუფი მუშაობდა. ამ ეპატპზე მათ აქვთ არა მხოლოდ ქართული ფილოლოგიის მახასიათებლები ეროვნულ დონეზე დამტკიცებული არამედ ასვე ლიტერატურათმცოდნეობის .
ნინო მათარაძემ განაცხადა, რომ მათ ფაკულტეტზე არსებობს წესი, რომლითაც რეგულირდება პროგრამის ხელმძღვანელობა და ასევე სამუშაო ჯგუფის მუშოაბა. ამ წესის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც პროგრამის განვითარებაში შემდგომ მოდიფიცირებაში, ასევე სტუდენტებთან კონსულტაციის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელობის ნაწილი ასევე აისახება შემდეგ თვითშეფასებაში, რომელსაც პროფესორები ორ წელიწადში ერთხელ ავსებენ. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ასევე პერსონალის აყვანის წესს, რის შესახებაც მიუთითეს, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის აყვანის წესი და ასევე მოწვეული პერსონალის აყვანის წესი. დეტალურად არის გაწერილი ის კვალიფიკაცია და გამოცდილება, რაც განიხილება ამ პოზიციაზე .

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 13:37 სთ**
**დასრულების დრო: 15:38 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის შეფასება, კერძოდ 1.2 და 1.4 კომპონენტების შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. შესაბამისად პირველი სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მესამე სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 4.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება :**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:.**

1. სასურველია, პროგრამებმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინოს ვებგვერდზე სწავლის შედეგები და უზრუნველყოს, რომ ის, რაც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, ემთხვევა იმას, რაც პროგრამის ხელმძღვანელობის საბოლოო დოკუმენტაციაშია და რაც გამოიყენება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის მიზნებისთვის;
2. სასრუველია, კლასტერის ფარგლებში გაძლიერდეს შეფასების მექანიზმები, რომლებიც სწავლის შედეგებს გახდის რელევანტურს, კარგად ჩამოყალიბებულს და მიღწევადს და რომელიც მკაფიოდ დაადასტურებს კავშირს სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის შემუშავებას შორის;
3. პროგრამებმა უნდა გაასწორონ სასწავლო კურსებში არსებული ხარვეზები მითითებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებით;
4. სასურველია, პროგრამებში, სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულად ასახვა თემატიკის მიხედვით;
5. ვებგვერდის ინგლისური ვერსია უნდა განახლდეს და ინფორმაცია შეესაბამებოდეს ქართულ შინაარსს;
6. სასურველია, კლასტერმა უზრუნველყოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, ასევე აკადემიური რეცენზიები და სამეცნიერო ნაშრომები შეესაბამებოდეს ფილოლოგიის სფეროს და იმ საგნებს, რომლებსაც ისინი ასწავლიან ან/და ხელმძღვანელობენ. პრაქტიკაზე დაფუძნებული გამოცდილების გამონაკლისი უნდა გაკეთდეს იქ, სადაც ამის გამართლება შეიძლება;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად პროგრამების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმები;
8. სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს მოწვეული და აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები. კერძოდ, მეტი ყურადღება დაეთმოს რეკრუტირების რეგულაციებს პროფესიული ნიშნით;
9. ვებგვერდი უნდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული ენობრივ ვერსიებში, საჯარო ინფორმაცია ხშირად უნდა გადაიხედოს სანდოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ‘‘ლიტერატურათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, პირველი სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მესამე სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება :**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ‘’ლიტერატურათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:**

1. სასურველია, პროგრამებმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინოს ვებგვერდზე სწავლის შედეგები და უზრუნველყოს, რომ ის, რაც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, ემთხვევა იმას, რაც პროგრამის ხელმძღვანელობის საბოლოო დოკუმენტაციაშია და რაც გამოიყენება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის მიზნებისთვის;
2. სასრუველია, კლასტერის ფარგლებში გაძლიერდეს შეფასების მექანიზმები, რომლებიც სწავლის შედეგებს გახდის რელევანტურს, კარგად ჩამოყალიბებულს და მიღწევადს და რომელიც მკაფიოდ დაადასტურებს კავშირს სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის შემუშავებას შორის;
3. პროგრამებმა უნდა გაასწორონ სასწავლო კურსებში არსებული ხარვეზები მითითებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებით;
4. სასურველია, პროგრამებში, სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულად ასახვა თემატიკის მიხედვით;
5. ვებგვერდის ინგლისური ვერსია უნდა განახლდეს და ინფორმაცია შეესაბამებოდეს ქართულ შინაარსს;
6. სასურველია, კლასტერმა უზრუნველყოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, ასევე აკადემიური რეცენზიები და სამეცნიერო ნაშრომები შეესაბამებოდეს ფილოლოგიის სფეროს და იმ საგნებს, რომლებსაც ისინი ასწავლიან ან/და ხელმძღვანელობენ. პრაქტიკაზე დაფუძნებული გამოცდილების გამონაკლისი უნდა გაკეთდეს იქ, სადაც ამის გამართლება შეიძლება;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად პროგრამების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმები;

8. სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს მოწვეული და აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები. კერძოდ, მეტი ყურადღება დაეთმოს რეკრუტირების რეგულაციებს პროფესიული ნიშნით;
9. ვებგვერდი უნდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული ენობრივ ვერსიებში, საჯარო ინფორმაცია ხშირად უნდა გადაიხედოს სანდოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ''შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, პირველი სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება :**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ''შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:.

**რეკომენდაციები:**

1. პროგრამამ უნდა გადახედოს სწავლის შედეგს „აღწერს და გადმოსცემს…" იმის უზრუნველსაყოფად, თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ თეორიული მოდელები და ცნებები პრაქტიკაში და რა სარგებელი მოაქვს მათ კურსდამთავრებულისთვის დასაქმების გზაზე.

**რჩევები:**

1. სასურველია, პროგრამებმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინოს ვებგვერდზე სწავლის შედეგები და უზრუნველყოს, რომ ის, რაც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, ემთხვევა იმას, რაც პროგრამის ხელმძღვანელობის საბოლოო დოკუმენტაციაშია და რაც გამოიყენება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის მიზნებისთვის;

2. სასრუველია, კლასტერის ფარგლებში გაძლიერდეს შეფასების მექანიზმები, რომლებიც სწავლის შედეგებს გახდის რელევანტურს, კარგად ჩამოყალიბებულს და მიღწევადს და რომელიც მკაფიოდ დაადასტურებს კავშირს სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის შემუშავებას შორის;
3. პროგრამებმა უნდა გაასწორონ სასწავლო კურსებში არსებული ხარვეზები მითითებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებით;
4. სასურველია, პროგრამებში, სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულად ასახვა თემატიკის მიხედვით;
5. ვებგვერდის ინგლისური ვერსია უნდა განახლდეს და ინფორმაცია შეესაბამებოდეს ქართულ შინაარსს;
6. სასურველია, კლასტერმა უზრუნველყოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, ასევე აკადემიური რეცენზიები და სამეცნიერო ნაშრომები შეესაბამებოდეს ფილოლოგიის სფეროს და იმ საგნებს, რომლებსაც ისინი ასწავლიან ან/და ხელმძღვანელობენ. პრაქტიკაზე დაფუძნებული გამოცდილების გამონაკლისი უნდა გაკეთდეს იქ, სადაც ამის გამართლება შეიძლება;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად პროგრამების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმები;
8. სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს მოწვეული და აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები. კერძოდ, მეტი ყურადღება დაეთმოს რეკრუტირების რეგულაციებს პროფესიული ნიშნით;
9. ვებგვერდი უნდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული ენობრივ ვერსიებში, საჯარო ინფორმაცია ხშირად უნდა გადაიხედოს სანდოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, პირველი სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება :**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი

ენათმეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:.

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო კურსების რიგ სილაბუსებში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა სწავლების საფეხურთან შესაბამისობით.

**რჩევები:**

1. სასურველია, პროგრამებმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინოს ვებგვერდზე სწავლის შედეგები და უზრუნველყოს, რომ ის, რაც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, ემთხვევა იმას, რაც პროგრამის ხელმძღვანელობის საბოლოო დოკუმენტაციაშია და რაც გამოიყენება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის მიზნებისთვის;
2. სასრუველია, კლასტერის ფარგლებში გაძლიერდეს შეფასების მექანიზმები, რომლებიც სწავლის შედეგებს გახდის რელევანტურს, კარგად ჩამოყალიბებულს და მიღწევადს და რომელიც მკაფიოდ დაადასტურებს კავშირს სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის შემუშავებას შორის;
3. პროგრამებმა უნდა გაასწორონ სასწავლო კურსებში არსებული ხარვეზები მითითებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებით;
4. სასურველია, პროგრამებში, სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულად ასახვა თემატიკის მიხედვით;
5. ვებგვერდის ინგლისური ვერსია უნდა განახლდეს და ინფორმაცია შეესაბამებოდეს ქართულ შინაარსს;
6. სასურველია, კლასტერმა უზრუნველყოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, ასევე აკადემიური რეცენზიები და სამეცნიერო ნაშრომები შეესაბამებოდეს ფილოლოგიის სფეროს და იმ საგნებს, რომლებსაც ისინი ასწავლიან ან/და ხელმძღვანელობენ. პრაქტიკაზე დაფუძნებული გამოცდილების გამონაკლისი უნდა გაკეთდეს იქ, სადაც ამის გამართლება შეიძლება;
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად პროგრამების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმები;
8. სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს მოწვეული და აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები. კერძოდ, მეტი ყურადღება დაეთმოს რეკრუტირების რეგულაციებს პროფესიული ნიშნით;
9. ვებგვერდი უნდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული ენობრივ ვერსიებში, საჯარო ინფორმაცია ხშირად უნდა გადაიხედოს სანდოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

ზეპირი მოსმენის საფუძველზე საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, პირველი სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მესამე სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება :**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:.

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, შემუშავდეს სასწავლო კურსი "პროფესორის ასისტირება" სილაბუსი და შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან.

**რჩევები:**

1. სასურველია, პროგრამებმა მკაფიოდ უნდა წარმოაჩინოს ვებგვერდზე სწავლის შედეგები და უზრუნველყოს, რომ ის, რაც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, ემთხვევა იმას, რაც პროგრამის ხელმძღვანელობის საბოლოო დოკუმენტაციაშია და რაც გამოიყენება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის მიზნებისთვის;
2. სასურველია, კლასტერის ფარგლებში გაძლიერდეს შეფასების მექანიზმები, რომლებიც სწავლის შედეგებს გახდის რელევანტურს, კარგად ჩამოყალიბებულს და მიღწევადს და რომელიც მკაფიოდ დაადასტურებს კავშირს სწავლის შედეგებსა და სასწავლო გეგმის შემუშავებას შორის;
3. პროგრამებმა უნდა გაასწორონ სასწავლო კურსებში არსებული ხარვეზები მითითებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებით;
4. სასურველია, პროგრამებში, სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სრულად ასახვა თემატიკის მიხედვით;
5. ვებგვერდის ინგლისური ვერსია უნდა განახლდეს და ინფორმაცია შეესაბამებოდეს ქართულ შინაარსს;
6. სასურველია, კლასტერმა უზრუნველყოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, ასევე აკადემიური რეცენზიები და სამეცნიერო ნაშრომები შეესაბამებოდეს ფილოლოგიის სფეროს და იმ საგნებს, რომლებსაც ისინი ასწავლიან ან/და ხელმძღვანელობენ. პრაქტიკაზე დაფუძნებული გამოცდილების გამონაკლისი უნდა გაკეთდეს იქ, სადაც ამის გამართლება შეიძლება;

7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შეიმუშაოს პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად პროგრამების სილაბუსებში ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის მექანიზმები;
8. სასურველია, უსდ-მ გააძლიეროს მოწვეული და აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები. კერძოდ, მეტი ყურადღება დაეთმოს რეკრუტირების რეგულაციებს პროფესიული ნიშნით;
9. ვებგვერდი უნდა იყოს ზუსტი და თანმიმდევრული ენობრივ ვერსიებში, საჯარო ინფორმაცია ხშირად უნდა გადაიხედოს სანდოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

**2 საკითხი.** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი<br>Medical doctor /MD |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №29, 23.06.2017 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VII |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი<br>Medical doctor /MD |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 - მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |
| 14 | განხორციელების ადგილი | მ. ალექსიძის ქ.10, ქ.თბილისი, 0160, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ დიახ**
თვითაცილება განაცხადა გურანდამ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტი, ია ფანცულაია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ ორი რეკომენდაცია იყო გაცემული, რომელიც დაწესებულებას შეასრულა დათქმულ ვადებში. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან და თანდართული დოკუმენტაციიდან ნათლად ჩანს, რომ პრობლემა აღმოფხვრილია, ინგლისურენოვან ვერსიაში ჩასწორებულია შეუსაბამობა და ამ ეტაპზე დაზუსტებულია შემდეგნაირად: „Medical doctor/MD".
მეორე რეკომენდაცია ასევე ეხებოდა ხარვეზის შესწორებას, რეკომენდაცია გათვალისწინებულია და ქართულ ვერსიაში არსებული ჩანაწერი თარგმნილია და გადატანილია ინგლისურენოვან ვერსიაში სიტყვასიტყვით, რაც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომდგენლებმა მადლობა დაგაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:42 სთ**
**დასრულების დრო: 15: 46 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში

**3 საკითხი.** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ინფორმატიკა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 13.03.2020, N34 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ინფორმატიკის ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, 0613 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | საქართველო, 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N68, უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსი |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ არა**
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას თქვა, რომ შეისწავლეს წარმოდგენილი მასალები რომლის საფუძველზეც უნდა მოეხდინათ პროგრამის შეფასება. აღნიშნა, რომ მასალები სრულყოფილად იყო წარმოდგენილი რამაც მკაფიო სურათი მისცა პროგრამის შესახებ. თქვა რომ გათვალისწინებულია ის ახალი დარგობრივი მახასიათებლები რაც იყო 2 წლის წინ შემუშავებული. შეფასების მექანიზმები ცხადად და ნათლად არის წარმოდგენილი. ჰქონდათ გარკვეული რჩევები რაც პროგრამის ხარისხზე გავლენას არ მოახდენს პირიქით შეამსუბუქებს გარკვეულ საქმიანობას. რჩევა ეხებოდა გარე შეფასებას, რაც იმას ნიშნავს რომ გარე შეფასება სწავლის შედეგების შესაფასებლად არ გამოიყენება. რაც შეეხება შედეგებისა და მიზნების რუკას კარგი იქნება თანდართული იყოს ვიზუალიზაციისათვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**
საბჭოს წევრების მხრიდან შეკითხვები არ ყოფილა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:11 სთ**
**დასრულების დრო: 16:15 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინფორმატიკის" საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება

**4 საკითხი.** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

| **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქიმია |
| | |

| | |
|---|---|
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 16.07.21, N718777 |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | VI |
| კვალიფიკაციის დასახელება | ქიმიის ბაკალავრი |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0531 - ქიმია |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| განხორციელების ადგილი | ნინოშვილის ქ. №35, ქ. ბათუმი, 6010, საქართველო |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ დიახ**

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ და თამარ სირაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ინგა ბოჭორიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან განაცხადა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია 7 წლის ვადით მიენიჭა 2021 წლის 6 ივლისს ასევე განესაზღვრა ანგარიშის წარმოდგენა. შესაბამისად 2022 წლის 8 ნოემბერს აკრედიტაციის საბჭომ ცნობად მიიღო დამატებით განესაზღვრათ 60 დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად ორი რეკომენდაცია დარჩა შეუსრულებელი, უმრავლესობა კი შესრულებული იყო. შესაბამისად დაევალათ არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება, წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში, ასევე დამატებით იქნა გამოთხოვილი პროგრამის პაკეტი და ასევე

ანალოგი პროგრამების ანალიზის დოკუმენტი. რეკომენდაციები ეხებოდა მხოლოდ 1.1 კომპონენტს. პროგრამის მიზნების განსაზღვრას, შესაბამისად უნდოდათ კომპლექსურად დაენახათ აღნიშნული რეკომენდაციები. სწორედ ამან გამოიწვია აღნიშნული დოკუმენტების გამოთხოვა. შესაბამისად მათ მიერ მოცემულ დასკვნაშიც არის წარმოდგენილი. ორივე რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია მხოლოდ განისაზღვრა ამ კომპონენტთან მიმართებით რჩევა. ერთი რჩევა რომელიც მდგომარეობს შემდეგში სასურველია პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებული იყოს მკაფიოდ პროგრამის სპეციფიკის და ინდივიდუალობის გათვალისწინებით. არ მოიცავდეს ზედმეტ ჩანაწერებს მათ შორის მიზნების თვითშეფასების ნაწილს შესაბამისად დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტების მიერ წარდგენილ დასკვნას და რჩევას .

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებბის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელი ვლადიმერ ღლონტი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული მუშაობისთვის. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნების აღწერა მათ მიერ იქნა რეფორმირებული, რაც მოიცავს ინფორმაციას ქიმიის სფეროს შესახებ და ქიმიის, როგორც ცოდნის დარგის აქტუალურობის დასაბუთებას. ამ რეფორმულირებაში გათვალისწინებულია და გამოსწორებულია ის ტერმინოლოგიური შეუსაბამობები რაც იყო რეკომენდაციაში გაცემული რისთვისაც განესაზღვრათ დამატებითი დრო რეკომენდაციის შესასრულებლად. მან დამატებით აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაციები არის შესრულებული. რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რჩევას აკადემიური პერსონალი და პროგრამის განმახორციელებლები აუცილებლად გაითვალისწინებენ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**
საბჭოს წევრების მხრიდან კითხვები არ ყოფილა.
**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:21 სთ**
**დასრულების დრო: 16: 24 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება

**5 საკითხი.** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, „ლინგვისტიკისა" და "ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო, „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართული ფილოლოგია<br>Georgian Philology |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 04. 11. 2011. №248 გადაწყვეტილება |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ქართული ფილოლოგია<br>Georgian Philology |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | VI |
| კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში<br>Bachelor of Arts in Georgian Philology |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა<br>Literature and linguistics |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| განხორციელების ადგილი | 6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, ბსუ I კორპუსი |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა | - |

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | |

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ლინგვისტიკა<br>Linguistics |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2.03.2012 №50<br>გადაწყვეტილება |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ლინგვისტიკა<br>Linguistics |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | VII |
| კვალიფიკაციის დასახელება | ლინგვისტიკის მაგისტრი<br>Master of Linguistics |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა<br>Literature and linguistics |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| განხორციელების ადგილი | 6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, ბსუ I კორპუსი |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო | - |

| | |
|---|---|
| პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | |

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევები<br>Georgian Literature and Comparative Literary Studies |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | აკრედიტებული |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2.03.2012 №49 გადაწყვეტილება |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათცმოდენობა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | VII |
| კვალიფიკაციის დასახელება | შედარებითი ლიტერატურის მაგისტრი<br>Master of Comparative Literary Studies |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა<br>Literature and linguistics |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| განხორციელების ადგილი | 6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, ბსუ I კორპუსი |
| | - |

| | |
|---|---|
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | |

| ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფილოლოგია<br>Philology |
| ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| სტატუსი | ახალი |
| სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| დაშვების წინაპირობები | - |
| კვალიფიკაციის დონე | VIII |
| კვალიფიკაციის დასახელება | ფილოლოგიის დოქტორი<br>Doctor of Philolog |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა<br>Literature and linguistics |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 60 (სასწავლო კომპონენტი) |
| განხორციელების ადგილი | 6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35, ბსუ I კორპუსი |
| მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო | - |

| | |
|---|---|
| პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ დიახ**
თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ და თამარ სირაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერისტეტში ხორციელდება ოთხი პროგრამა ეს არის საბაკალავრო პროგრამა ტრადიციული ფილოლოგიური კვლევების მიმართულებით . სამაგისტრო პროგრამა ლინგვისტიკაში, რომელიც აქცენტს აკეთებს ქართველურ ენებზე, ქართული და შედარებითი ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა და ფილოლოგიის სადოქტორო საფეხურის პროგრამა. ეს პროგრამები წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიის ძირითად მამოძრავებელ ასპექტს და მნიშვნელოვანია როგორც ქართველი ხალხისთვის ასევე ეროვნულ დონეზე და ამ პროგრამების რეაკრედიტაცია სწორედ რომ ადასტურებს უნივერსიტეტის მისიის და მიზნის მნიშვნელოვან ნაწილს.
ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 18-19-20 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა ინტერვიუები განეხორციელებინა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. მათ შორის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, რომლებიც სამომავლოდ დაასაქმებენ კურსდამთავრებულებს, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ყველა პროგრამის მიხედვით. ასევე ინტერვიურების დროს გამოიკითხა ყველა დაინტერესებული მხარე გამოირიცხა ინტერესთა კონფლიქტი, რამაც დაანახა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ადგილი არ ჰქონდა მიკერძოებულობას და სამუშაო რომელიც განხორციელდა კლასტერის ფარგლებში იყო მიუკერძოებელი.
ასევე ვიზიტის დროს მოხდა მატერიალური რესურსის დათვალიერება, როგორიც არის აუდიტორიები, სალექციო ოთახები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა ასევე ყურადღება გამახვილდა მატერიალურად არსებულ ლიტერატურაზე და ელექტრონულ ბაზებზე, ყურადღება გამახვილდა იმ შიდა ელექტრონულ სისტემაზე რომელსაც იყენებენ სტუდენტები და ლექტორები. ასევე დათვალიერება მოხდა ერთი სასემინარო ოთახის, სადაც ხდება სინქრონული თარგმანის უზრუნველყოფა .
ვიზიტის დროს სრულიად გამჭირვალე სურათი მიიღო ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის შესაძლებელობებზე და კლასტერში გათვალისწინებული პროგრამების სუსტ და ძლიერ

მხარეებზე . რაც შეეხება პროგრამების შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით, რაც არის საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები სწავლის შედეგები და პროგრამის შესაბამისობა 1-ლი , მე-2 და მე-3 პროგრამა ერთი საბაკალავრო და ორი სამაგისტრო არის მეტწილად შესაბამისი, ხოლო სადოქტორო პროგრამა შესაბამისია მოთხოვნებთან. მე-2 , მე-3 და მე-4 სტანდარტებთან ოთხივე პროგრამა შესაბამისია მოთხოვნებთან, ხოლო მე-5 სტანდარტთან მიმართებით რომელიც არის სწავლების ხარისხის განვითარება. ყველა პროგრამა მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მიუხედავად იმისა, რომ კლასტერში გათვალისწინებული პროგრამები გარკვეულწილად აკმაყოფილებს იმ ყველა დადგენილ ნორმას და რეგულაციებს კონკრეტული საკითხები აუცილებლად უნდა იყოს გადახედილი და ზოგ შემთხვევაში შეცვლილი კიდეც. პირველი რეკომენდაცია ეხება სილაბუსებს და გამოყენებულ ლიტერატურას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში გამოყენებული ტექსტები პირველ წყაროები არის გარკვეულწილად მოძველებული ისინი ვეღარ ასახავენ თანამედროვე ტენდენციებს, ამისთვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს 21-ე საუკუნეში გამოყენებადი ლიტერატურა. ხოლო ძველი წყაროები წარმოდგენილი უნდა იყოს საუკეთესო მაგალითის თვალსაზრისით კონკრეტულ დარგებში. ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსებში უნდა განახლდეს ლიტერატურა და დაემატოს 1-2 სახელმძღვანელო. იმ სილაბუსებში, სადაც გათვალისწინებულია ზედმეტი ლიტერატურა იმისათვის რომ მიღწეული იქნეს ადეკვატური სწავლის შედეგები უნდა მოხდეს მისი შემცირება.

სილაბუსებში ასევე მეტად გამოყენებული უნდა იყოს უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაში ქართველოლოგიის გარდა ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე ისეთ საკითხებს როგორიც არის ზოგადი და შედარებითი ლინგვისტიკის საკითხები, ფორმალური თეორიული ჩარჩოები და ა.შ.

სილაბუსებში გამოყენებული უნდა იყოს ახსნა-განმარტებითი რუბრიკები, სადაც გაწერილი იქნება კრედიტების გადანაწილება და დაყოფა. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით უნდა გაძლიერდეს ფაკულტეტის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. უნდა ხდებოდეს შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიურობა მონაწილეობა. პროგრამები უნდა შეფასდეს ეფექტურად და აუცილებელია ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის მხრიდან ვალიდაცია, როდესაც მასში გარკვეულ ცვლილებებს დაამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო ეს უნდა მოხდეს ხარისხის უზრუნველყოფის დასკვნის საფუძველზე.

პროგრამის შეფასების და მოდიფიკაციის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად უნდა თანამშრომლბდეს აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, როდესაც ხდება ესეთი საკითხების შესწავლა და შეფასება, როგორიც არის სტუდენტების დატვირთვის ადეკვატურობა. სასწავლო კურსების კრედიტების გადანაწილება, სილაბუსების გადაფარვა, შეფასების სქემები და ა.შ.

სპეციალური ინსტრუმენტები უნდა დაინერგოს პროგრამების შეფასებისათვის, მაგალითად როგორიც არის კითხვარები იმისათვის რომ სტუდენტებმა შეაფასონ და უკუკავშირი მისცენ კვლევით კომპონენტზე და მათ კვლევით ხელმძღვანელებთან დაკავშირებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატიურად უნდა აგროვებდეს და აანალიზებდეს ისეთ ინფორმაციას როგორიც არის სტუდენტების დატვირთვა, რაც შეეხება სასწავლო მასალების რაოდენობას, იქნება ეს გვერდების რაოდენობა, კრედიტების გადანაწილება საგნების მიხედვით ასევე შეფასების მეთოდებს, შუალედურ და საბოლოო მეთოდებს. გასათვალისწინებელია სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში პროფესორ-ასისტენტობა გამოყენებული უნდა იყოს და შეფასებული და გაანალიზებული შეფასების რუბრიკები.

სტუდენტები, რომლებიც ირჩევენ სავალდებულო და დამატებით მოდულს აქვთ ერთი არჩევანის გაკეთების საშუალება. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია არის მათ ჰქონდეთ მეტი არჩევანის საშუალება იმისათვის, რომ გააკეთონ რელევანტური არჩევანი. რეკომენდაციაა

პროგრამებს დაემატოს ორი რესურსი მეხუთე მოდულში, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს მოემზადონ სამაგისტრო ნაშრომისათვის და ასევე უნდა დაემატოს ინგლისური ენის კურსი, რომელიც გაითვალისწინებს აკადემიურ ინგლისურს.
ექსპერტთა ჯგუფს ასევე აქვს რჩევები, რაც არ არის სავალდებულო თუმცა სასურველია უნივერსიტეტმა მიიღოს მხედველობაში. პირველი ეს ეხება საგამოცდო საკითხების B2 დონეზე მოყვანას, იმისათვის რომ გამოცდა იყოს თავსებადი პროგრამის დონესთან. ასევე რჩევის სახით წარმოდგენილია სილაბუსებს დაემატოს ყოველკვირეული მასალების განყოფილება, რომელიც ამოღებული იყო. რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ჰქონდეთ ინფორმაცია რა რაოდენობის მასალაზე არიან პასუხისმგებლები. ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურსაც ექნება საშუალება შეაფასოს რამდენად გადიან სტუდენტები სწავლის შედეგებზე.
უნივერსიტეტი უცხოელ სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩააბარონ სადოქტორო პროგრამაზე ქართული დონის B1 დონით თუმცა სასურველია უნივერისტეტმა უზრუნველყოს ასეთმა სტუდენტებმა შეისწავლონ ქართული ენა B2 ან C1 დონეზე ვინაიდან მათ დასაწერი ექნებათ თავიანთი ნაშრომი ქართულ ენაზე.
ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ტრენინგები ან სხვა მეთოდებით შეასწავლოს გააცნოს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს თუ როგორ უნდა გამოიყენოს საერთაშორისო ბაზები.
რჩევების და რეკომენდაციების გარდა ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის საერთაშორისო პრაქტიკა რაც გამოყენება შეფასების პროცესში. პირველი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი არის შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტებს აძლევს კარგ საშუალებას გააკეთონ უკუკავშირი და ასევე იცოდნენ მათი დავალებების შესახებ და შეფასების პროცესზე ჰქნოდეთ ინფორმაცია და სწავლების მეთოდებზე.
საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ მონაწილეობა საველე პრაქტიკებში, სხვადასხვა ექსპედიციებში იმისთვის რომ გააღრმავონ საკუთარი უნარები. ასევე კლასტერის პროგრამები უზრუნველყოფენ სტუდენტების ჩართვას სხვადსხვა საერთაშორისო კონფერენციებში და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში. უნივერსიტეტის თანამშრომლობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან არის იმის კარგი მოდელი თუ როგორ უნდა განვითარდეს დეპარტამენტების თვალსაზრისით, აკადემიური პერსონალის ჩართულობის თვალსაზრისით სამეცნიერო აქტივობები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
ვლადიმერ ღლონტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება საექსპორტო ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნას დადებითად აფასებს. მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის პროცესში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტებს უნივერსიტეტის დადებითი პრაქტიკის შემჩნევისთვის შეფასებისთვის და ღირსეულად წარმოჩენისთვის. დადებით პრაქტიკაში მიჩნეულია უნივერსიტეტის მალისხმევა აკადემიური პროცესის გაციფრულებისაკენ, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, პრაქტიკის განხორციელების მიმართულებით და რა თქმა უნდა სამეცნიერო თანამშრომლობა. ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს სწორად დანახული პროცესისთვის და იმ რეკომენდაციებისათვის რომელიც არის ჩამოყალიბებული და რეკომენდაციები, რომლებიც მართლაც ითვალისწინებს სულყოფას და განვითარებას, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ასევე ხარისხის უზრუნველყოფით სისტემის.
აბსოლუტურად ეთანხმება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფს იმ პათოსში რომ სამსახურის ძალისხმევა მისი პასუხისმგებლობა იქნეს სათანადო დონეზე წარმოჩენილი და შესაბამისად მან ჰპოვოს ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების და განხორცილების პროცესში სწორედ ამ კონტექსტით აღიქვამს იმ რეკომენდაციებს, რომელიც

იყო გამოთქმული. მათი აზრით ამ პროცესში ნაკლებად უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრირების მეთოდები და უფრო მეტად რეგულირების შესაძლებლობები იყოს გამოყენებული. უნივერსიტეტის სტრუქტურიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ არის ისე ფართოდ წარმოდგენილი რომ მასში დასაქმებულებმა შეძლონ სრულფასოვანი მრავალასპექტიანი შეფასება ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტისა როგორიც არის საგანმანათლებლო პროგრამები. გამომდინარე იმ აზრიდან რომ შეფასების პროცესში იქნეს ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე ქმნიან პირველადი ექსპერტიზის ორგანოს ხარისხის სამსახურის მონაწილეობით, რომელსაც ჰქვია კურიკულუმის კომიტეტი და რომელშიც რთავენ ასევე აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ მასწავლებლებს და ყველა იმ სპეციალისტს და ექსპერტს, რომელსაც აქვს გამოცდილება საგანმანათლებლო პროგრამების საქმიანობის შეფასებისა. ეს მოდელი მათ შექმნეს და ინსტიტუციურად ჩამოაყალიბეს გასული წლის აგვისტოში ამიტომ ამ კურიკულუმის კომიტეტმა დიდი დატვირთვით ვერ იმუშავა მოცემული პროგრამების შემუშავების პროცეში, ეს ხარვეზი ექსპერტებმა სწორად დაინახეს და კეთილგანწყობილი რეკომენდაციებით მისცეს რეკომენდაცია ამ პროცესის განხორცილებისაკენ, თუმცა მათ ეს პრობლემა იდენტიფიცირებული აქვთ და შექმნილი აქვთ ეს მეთოდი რომლის ამუშავებაც უნდათ სრული დატვირთვით. მისი ამოქმედება, მისცემთ შესაძლებლობას გამოთქმული რეკომენდაციები მათ მიერ იქნეს შესრულებული. ასევე მუშაობენ სამეცნიერო კომპონენტის შეფასების ხელმძღვანელის მუშაობის შეფასების მექანიზმებზე, ამ რეკომენდაციასაც იღებენ და ითვალისწინებენ. რაც შეეხება კრედიტების განაწილებას სასწავლო კურსებში, ხარისხის სამსახური ამ შემთხვევაში ადმინისტრატორის პოზიციაში ვერ წარმოდგება იმიტომ რომ პროგრამას ქმნის სამუშაო ჯგუფი, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე არის ჩართული ამიტომ გარკვეული ხედვის შესაბამისად ხდება საგანმანათლებლო პროგრამის, ყველა მისი შემადგენელი ასპექტის ფორმირება.
მარინე გიორგაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. განმარტება გააკეთა მე-9 რეკომენდაციასთან მიმართებით და განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ითვალისწინებდა სამაგისტრო ნაშრომში ახალი სასწავლო კურსების შეტანას. აკადემიური წერის სავალდებულო კურსს და ინგლისური ენის არჩევით კურსს. აღნიშნა, რომ ინგლისური ენის კურსები არჩევითად უკვე დაემატა და მესამე სემესტრში აკადემიური წერაც უკვე შეტანილია.
ლიტერატურასთან დაკავშირებით შემუშავებულ რეკომენდაციას დაწესებულება ეთანხმება და მარინე გიორგაძემ დამატებით განმარტა, რომ ლიტერატურის განახლება მუდმივი პროცესია ყოველ სემესტრულად ცდილობენ განაახლონ ის.
მან ასევე ყურადღება გაამახვილა ქართველოლოგთა ნაშრომებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ისინი ძალიან აქტიურად თანამშრომლობენ ქართველოლოგებთან, რაც დოკუმენტებშიც კარგად ჩანს. მიიღეს გადაწყვეტილება ამ ეტაპზე საფაკულტეტო დონეზე შემდეგ უკვე საუნივერსიტეტო დონეზე აკადემიური საბჭოც განიხილავს ამ საკითხს, რომ ქართველოლოგიის მიმართულებით დაარსონ სტიპენდია, უცხოელი ქართველოლოგებისათვის.
რაც შეეხება რჩევას, ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა უცხო ენის დონეს. მან განმარტა, რომ მათ ჰყავდათ უცხოელი დოქტორანტები, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს ქართულ ენაზე სადისერტაციო ნაშრომები, აქ მთავარი იმის გათვალისწინება არის რომ მათ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებიც საქართველოში ჰქონდათ გავლილი და შესაბამისი განათლება მიღებული, ამიტომ ენობრივი პრობლემა არ ყოფილა. საპასუხო წერილშიც დააფიქსირეს საკუთარი აზრი რომ ამ რჩევას აუცილებლად გაითვალისწინებს დაწესებულბა.
რაც შეეხება ასისტირების კომპონენტს მარინე გიორგაძემ აღნიშნა, რომ ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რაც გაწერილია დოკუმენტებში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, ქართული ენის B2 და C1 დონის კურსებთან დაკავშირებით რჩევის გათვალისწინებას წინაპირობების სახით გეგმავენ თუ პროგრამაში უნდა ასახონ?
მარინე გიორგაძემ განაცხადა, რომ ამას აუცილებლად გაითვალისწინებენ, თქვა რომ ქართული კომპეტენციების გამომჟღავნება ისედაც სავალდებულოა სხვანაირად ის ვერ ისწავლის პროგრამაზე . რჩევა იყო თუ ის გახდება მათი დოქტორანტი შემდეგ სემესტრებშიც გააგრძელოს ქართული ენის სწავლება უფრო მაღალ დონეზე. რადგან ნაშრომის დაწერისთვის B1 დონე არ იქნება საკმარისი. რაც გათვალისწინებული იქნება.
ვლადიმერ ღლონტმა დაამატა, რომ ორგანიზაციულად ამის განხორცილება არის შესაძლებელი პროგრამაში ცვლილების შეტანით და დაშვების წინაპირობის განსაზღვრით, იმ რჩევის გათვალისწინებით რომელიც არის შემუშავებული.
საბჭოს წევრი, თინათინ ჭაბუკიანი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას გადახედა პროგრამის დამტკიცების პროცედურებს, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმის ანალიზს, სადაც პროგრამის დამტკიცებაზე დასკვნა კურიკულუმის კომიტეტს აქვს და არსად არ ფიგურირებდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. თინათინ ჭაბუკიანმა აღნიშნული საკითხის განმარტებისკენ მოუწოდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა განმარტა, რომ პროცედურა საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისა შემდეგია: სამუშაო ჯგუფი ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამას, საგანმანათლებლო პროგრამა პირველადი ექსპერტიზისათვის გადაეცემა კურიკულუმის კომიტეტს. კურიკულუმის დოკუმენტის დასკვნის საფუძველზე გადადის ფაკულტეტის საბჭოზე, ფაკულტეტის საბჭოს დამატებით შეუძლია მოითხოვოს გარე ექსპერტიზა პროგრამის, ამის შემდეგ დადებითი პასუხის შეფასების საფუძველზე გადის აკადემიურ საბჭოზე, აკადემიურ საბჭოსაც ასევე დამატებით შეუძლია დამატებითი შეფასების მოთხოვნა. ისმევა კითხვა სად ფიგურირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის იმ მეთოდებში, იმ რეგულაციებში რომელიც არის განსაზღვრული პროგრამის შემუშავების და განვითარების წესში და კურიკულუმის დოკუმენტში, რომელიც არის შექმნილი როგორც ორგანო როგორც პირველადი შეფასების სტრუქტურა ფაკულტეტზე ეს არის რეალურად ხარიხის სამსახური. კურიკულუმის კომიტეტს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. მასთან ერთად ამ კურიკულუმის კომიტეტში არის ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორები დარგობრივი დეპარტამენტებიდან. შეფასების ფართომაშტაბიანად განხორცილებისათვის აგრეთვე რთავენ კურიკულუმის კომიტეტში მოქმედ აკრედიტაციის ექსპერტებს, რომლებიც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არიან კონკრეტულ ფაკულტეტზე და ამით ხდება შეფასება. კურიკულუმის კომიტეტი ამ შემთხვევაში არის ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა, სადაც ფართო ჩართულობის გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის. დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეს მოდელი უკეთ უზრუნველყოფს დაინტერსებული მხარეების ჩართულობას და შესაბამისად ამ შეფასების პროცესის უფრო ეფექტიანად განხორცილებას. ეს მოდელი შექმნეს გასული წლის დეკემბერში, როდესაც ეს პროგრამები უკვე მუშაობდა. ამ კომიტეტმა სამწუხაროდ სრული დატვირთვით ვერ იმუშავა შესაბამისად ის ფუნქციები, რაც გაწერილი აქვს პირველადი შეფასების სტრუქტურას მისი ამოქმედებით გადაწყდება ის პრობლემები , რომელზეც არის საუბარი . კიდევ ერთხელ დააზუსტა და თქვა , რომ კურიკულუმის კომიტეტი არის ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა , სადაც ჩართული არის მაქსიმალურად ფართო დაინტერესებული მხარეები. აქვე დაამატა რომ პროგრამების შემუშავების შეფასების და

განვითარების წესში არის ეს ყველაფერი აღნიშნული. არგუმენტირებულ პოზიციაში ხარისხის ნაწილში ეს აქვთ ჩამოყალიბებული და პუნქტობრივად მითითებული აქვთ რომელ პუნქტში არის.
ექსპერტმა, ია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ კურიკულუმის დებულებაში ნამდვილად არის გაწერილი რომ კურიკულუმის კომიტეტს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამ მეთოდოლოგიით ცენტრალური ხარისხის წარდგენით გადის საკითხი აკადემიურ საბჭოზე. რეკომენდაციები გასცეს მხოლოდ კეთილი სურვილით, რომ ადგილზე პირველად რგოლს მისცენ უფრო მეტი ბერკეტი.
გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა, თქვა რომ პროგრამას ასევე ჰყავს თვითშეფასების ჯგუფი მაგრამ მაინც არის ტექნიკური და შინაარსობრივი ხასიათის დარღვევები, რეკომენდაციები და რჩევები. ხო არ გაიზრდება ბიუროკრატია ამ მიმართულებით, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა სხვა მექანიზმისთვის მიემართათ.
ვლადიმერ ღლონტმა განაცხადა, რომ თეორიული შანსიც არ შეიქმნება. არსებობს პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რაც მკაცრად არის გაწერილი. ამ კრიტერიუმების მიხედვით ჯგუფმა უნდა იმუშაოს. კურიკულუმის კომიტეტს ქმნიან იმისათვის, რომ ფართო ჩართულობა მოხდეს ადგილზე, სპეციალისტებისა ჩართულობით, ექსპერტების გამოყენებითკომპაქტური ჯგუფის მეშვეობით მოხდეს პროგრამის სრულფასოვანი ჯანსაღი ყოვლისმომცველი ექსპერტიზა.
გურანდა ჭეილიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. დასვა დამაზუსტებელი კითხვა. დოკუმენტაციაში რომელიც წარმოდგენილი იყო ინსტიტუციის მიერ მოცემულია პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ნუსხა, ასევე წარმოდგენილი იყო დაცული ნაშრომების ნუსხა წლების მიხედვით, თუმცა ამ ნუსხაში არ იყო მითითებული სადოქტორო ნაშრომებთან მიმართებით ვინ იყვნენ ხელმძღვანელები, ვერ ამოიკითხა დოკუმენტაციაში როგორია თანაფარდობა. დინამიკა მზარდია მაგალითად 2022 წელს დაცულია 7 სადოქტორო დისერტაცია. 2021 წელს 13, 2020 წელს 12 სადოქტორო დისერტაცია. ვერ ამოიკითხა როგორია თანაფარდობა ერთი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელსა და დოქტორანტებს შორის. დასვა კითხვა თუ ნახეს ექსპერტებმა ეს მასალა.
მარინე გიორგაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში თუ ადრე იყო შესაძლებელი სამი დოქტორანტის ხელმძღვანელი ყოფილიყო ახლა შემცირდა და ორი დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს. სადოქტორო პროგრამას ცალკე ახლავს განმახორციელებელი პირების სია, ყველანი არიან სადოტქოტო პროგრამის ხელმძღვნელები.
ირინე ებრალიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას დასვა კითხვა 2.4 სტანდარტთან დაკავშირებით , სადაც სილაბუსებში შეფასების ქულების ახსნა-განმარტების დაზუსტების შესახებ იყო საუბარი აღსანიშნავია რომ ეს იყო კლასტერული რეკომენდაცია. საბაკალავრო პროგრამის ძირითადი და არჩევითი კურსები ვერ ნახა. აღნიშნა, რომ მეტ-ნაკლებად უკეთესი მდგომარეობა სადოქტორო პროგრამაზე თუმცა დასაზუსტებელია მთელი რიგი საკითხები. ერთ-ერთი კურსი არის მასმედიის ენა სადაც შეფასების ფორმა არის დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი შეფასების კომპონენტში წერია შემდეგი აკადემიური დონე 3 ქულა, წარდგენის კულტურა 1 ქულა, კითხვებზე გაცემის უნარი 1 ქულა. მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რის აკადემიურ დონეზეა საუბარი მასალის დამუშავების, წაკითხვის და ა.შ. ფიქრობს რომ ბევრი მსგავსი მითითებაა საჭირო. სამაგისტრო პროგრამაზე ერთ-ერთ კურსზეც არის უზუსტობა შუალედურ გამოცდაში შეფასების კომპონენტში წერია ერთ პასუხიანი დახურული ტესტები. თუ ერთ პასუხიანია ის უკვე დახურული აღარ არის. ითხოვა აღნიშნული საკითხების დაზუსტება.
მარინა გიორგაძემ განაცხადა, რომ როდესაც მათ თქვეს რომ მათთვის რეკომენდაციები მისაღებია ის ამ რეკომენდაციასაც ეხებოდა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 17: 30 სთ**
**დასრულების დრო: 17:50 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლოს პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**
**რეკომენდაციები:**

1. ქართული ენის B2 დონის განსაზღვრა, როგორც წინაპირობა არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეების მიღებისთვის, ან ქართული ენის ინტენსიური კურსის პროგრამის სასწავლო კომპონენტის ოფიციალურ არჩევით ნაწილად შეთავაზება.
2. სტუდენტებს, რომლებიც ირჩევენ სავალდებულო + დამატებით მოდელს, ამჟამად მხოლოდ ერთი შესაძლო არჩევითი საგანი აქვთ. კლასტერი უნდა შეიცავდეს მეტ არჩევით საგანს, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ რეალური არჩევანი.
3. რეკომენდებულია, განახლდეს სახელმძღვანელოები, მათ შორის დარგის გამოჩენილი უცხოელი წარმომადგენლების ნაშრომების სილაბუსებში და სასწავლო მასალაში უფრო თანამედროვე სახელმძღვანელოების, სტატიებისა და სხვა მულტიმედიური წყაროების შეტანით. ყველა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სილაბუსები, ერთი ან ორი სავალდებულო სახელმძღვანელოთი, უნდა განახლდეს და გამდიდრდეს საბაზისო ლიტერატურის განყოფილება; სილაბუსებში, სადაც გონივრულზე მეტი სავალდებულო ლიტერატურაა, უნდა შემცირდეს ეს რიცხვი სწავლის შედეგების ადეკვატურად მისაღწევად.
4. რეკომენდებულია, რომ კრედიტებისა და სასწავლო მასალის რაოდენობა უფრო შესაბამისი გახდეს: გაიზარდოს კრედიტები და შემცირდეს კურსების რაოდენობა სემესტრში.
5. რეკომენდებულია, ყოველი სილაბუსი შეიცავდეს ახსნა-განმარტებით რუბრიკას, რომელიც ასახავს ქულების ზუსტ დაყოფას/განაწილება.
6. მონიტორინგისა და განხილვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად უნდა შეაგროვოს და გააანალიზოს ინფორმაცია სტუდენტების დატვირთვის შესახებ (სასწავლო მასალების რაოდენობა, რომელიც უნდა დაიფაროს კურსის ფარგლებში, სტუდენტების საკითხავი გვერდების საერთო რაოდენობა), კრედიტების განაწილება სხვადასხვა საგნებზე კურსის შინაარსისა და სტუდენტების

დატვირთვის მიხედვით, სასწავლო კურსების შუალედური და საბოლოო შეფასების მეთოდები (მათ შორის პროფესორის ასისტენტობა დოქტორანტურაში), შეფასების სქემის რუბრიკები სილაბუსებში და სხვ.

7. აუცილებელია დაინერგოს შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები (კითხვარები და ა.შ.) და მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს შეაფასონ პროგრამების კვლევითი კომპონენტი და ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

**რჩევები:**

1. ყოველკვირეული მასალის (წიგნები, გვერდები) განყოფილება, რომელიც ამოღებულია განახლებული სილაბუსებიდან, ხელახლა უნდა შევიდეს სილაბუსებში, რათა უფრო ზუსტად გაიზომოს კორელაცია მასალასა და კრედიტის საათებს შორის და სწავლის შედეგების რეალისტური მიღწევადობა.
2. სილაბუსში უნდა იყოს უფრო დეტალური ინფორმაცია პრეზენტაციის შესახებ, როგორიცაა თემის არჩევის მექანიზმი (ლექტორთან შეთანხმებით/დამოუკიდებლად/ლექტორის მიერ მოწოდებული სიიდან და ა.შ.), ზუსტი ვადები, საჭირო ვიზუალური საშუალებები, გამოყოფილი დრო, სანქცია პლაგიატის/გადაფარვის შემთხვევაში და ა.შ
3. კარგი იქნება, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაგეგმავს მეტ ტრენინგს ან განახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენება ასწავლოს.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამასახური უნდა გამლიერდეს ფაკულტეტის დონეზე პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესში და პროგრამების შეფასება უნდა ჩატარდეს ეფექტურად. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სავალდებულო ფილტრი ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია პროგრამების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. პროგრამები უნდა დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში.
5. რეკომენდირებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავების/მოდიფიკაციის პროცესში; კერძოდ, სტუდენტის დატვირთვის ადეკვატურობის, კონკრეტული სასწავლო კურსებისთვის კრედიტების რაოდენობის შეფასებისას, სილაბუსებში გადაფარვის, შეფასების სქემების შემოწმებისას და ა.შ.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლინგვისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლოს პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლინგვისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:.**
**რეკომენდაციები:**

1. ქართული ენის B2 დონის განსაზღვრა, როგორც წინაპირობა არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეების მიღებისთვის, ან ქართული ენის ინტენსიური კურსის პროგრამის სასწავლო კომპონენტის ოფიციალურ არჩევით ნაწილად შეთავაზება.
2. ქართველოლოგიურ, ფორმალურ და ტიპოლოგიურ ლინგვისტურ ლიტერატურაში დაინერგოს უცხოელი ავტორების ტექსტების არსებითად უფრო დიდი პროცენტული ოდენობა.
3. ასევე, სილაბუსებში ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია მოძველებული ტექსტები, სახელმძღვანელოები ან პირველადი წყაროები, რომლებიც აღარ ასახავს თანამედროვე აზროვნებას ბევრ სფეროში. ყველა სილაბუსში უნდა გამოიყენებოდეს ოცდამეერთე საუკუნის სახელმძღვანელოები, თუ ისინი ხელმისაწვდომია, ხოლო მოძველებული პირველადი წყაროები მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი საუკეთესო ნიმუშია კონკრეტული ქვე-დისციპლინისთვის.
4. რეკომენდაცირებულია, განახლდეს სახელმძღვანელოები, მათ შორის დარგის გამოჩენილი უცხოელი წარმომადგენლების ნაშრომების სილაბუსებში და სასწავლო მასალაში უფრო თანამედროვე სახელმძღვანელოების, სტატიებისა და სხვა მულტიმედიური წყაროების შეტანით. ყველა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სილაბუსები, ერთი ან ორი სავალდებულო სახელმძღვანელოთი, უნდა განახლდეს და გამდიდრდეს საბაზისო ლიტერატურის განყოფილება; სილაბუსებში, სადაც გონივრულზე მეტი სავალდებულო ლიტერატურაა, უნდა შემცირდეს ეს რიცხვი სწავლის შედეგების ადეკვატურად მისაღწევად
5. რეკომენდირებულია, ყოველი სილაბუსი შეიცავდეს ახსნა-განმარტებით რუბრიკას, რომელიც ასახავს ქულების ზუსტ დაყოფას/განაწილება.
6. მონიტორინგისა და განხილვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად უნდა შეაგროვოს და გააანალიზოს ინფორმაცია სტუდენტების დატვირთვის შესახებ (სასწავლო მასალების რაოდენობა, რომელიც უნდა დაიფაროს კურსის ფარგლებში, სტუდენტების საკითხავი გვერდების საერთო რაოდენობა), კრედიტების განაწილება სხვადასხვა საგნებზე კურსის შინაარსისა და სტუდენტების დატვირთვის მიხედვით, სასწავლო კურსების შუალედური და საბოლოო შეფასების მეთოდები (მათ შორის პროფესორის ასისტენტობა დოქტორანტურაში), შეფასების სქემის რუბრიკები სილაბუსებში და სხვ.
7. აუცილებელია დაინერგოს შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები (კითხვარები და ა.შ.) და მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს შეაფასონ პროგრამების კვლევითი კომპონენტი და ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

**რჩევები:**

1. ჩვენი რჩევაა, უცხო ენის საგამოცდო ტესტის CEFR B2 სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა ან ტესტის სირთულესთან უფრო თავსებადი დონის გამოყენება.
2. ყოველკვირეული მასალის (წიგნები, გვერდები) განყოფილება, რომელიც ამოღებულია განახლებული სილაბუსებიდან, ხელახლა უნდა შევიდეს სილაბუსებში, რათა უფრო ზუსტად გაიზომოს კორელაცია მასალასა და კრედიტის საათებს შორის და სწავლის შედეგების რეალისტური მიღწევადობა.
3. სილაბუსში უნდა იყოს უფრო დეტალური ინფორმაცია პრეზენტაციის შესახებ, როგორიცაა თემის არჩევის მექანიზმი (ლექტორთან შეთანხმებით/დამოუკიდებლად/ლექტორის მიერ მოწოდებული სიიდან და ა.შ.), ზუსტი ვადები, საჭირო ვიზუალური საშუალებები, გამოყოფილი დრო, სანქცია პლაგიატის/გადაფარვის შემთხვევაში და ა.შ
4. კარგი იქნება, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაგეგმავს მეტ ტრენინგს ან განახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენება ასწავლოს.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამასახური უნდა გაძლიერდეს ფაკულტეტის დონეზე პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესში და პროგრამების შეფასება უნდა ჩატარდეს ეფექტურად. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სავალდებულო ფილტრი ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია პროგრამების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. პროგრამები უნდა დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში.
6. რეკომენდირებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავების/მოდიფიკაციის პროცესში; კერძოდ, სტუდენტის დატვირთვის ადეკვატურობის, კონკრეტული სასწავლო კურსებისთვის კრედიტების რაოდენობის შეფასებისას, სილაბუსებში გადაფარვის, შეფასების სქემების შემოწმებისას და ა.შ.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლოს პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული

ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:.**
**რეკომენდაციები:**

1. ქართული ენის B2 დონის განსაზღვრა, როგორც წინაპირობა არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეების მიღებისთვის, ან ქართული ენის ინტენსიური კურსის პროგრამის სასწავლო კომპონენტის ოფიციალურ არჩევით ნაწილად შეთავაზება.
2. რეკომენდირებულია, პროგრამას დაემატოს კიდევ ორი კურსი: ა) V მოდულში აკადემიური წერის სავალდებულო კურსი, რომელიც მოამზადებს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის და ბ) ინგლისური ენის არჩევითი კურსი (აკადემიური ინგლისური).
3. რეკომენდირებულია, განახლდეს სახელმძღვანელოები, მათ შორის დარგის გამოჩენილი უცხოელი წარმომადგენლების ნაშრომების სილაბუსებში და სასწავლო მასალაში უფრო თანამედროვე სახელმძღვანელოების, სტატიებისა და სხვა მულტიმედიური წყაროების შეტანით. ყველა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სილაბუსები, ერთი ან ორი სავალდებულო სახელმძღვანელოთი, უნდა განახლდეს და გამდიდრდეს საბაზისო ლიტერატურის განყოფილება; სილაბუსებში, სადაც გონივრულზე მეტი სავალდებულო ლიტერატურაა, უნდა შემცირდეს ეს რიცხვი სწავლის შედეგების ადეკვატურად მისაღწევად
4. რეკომენდირებულია, ყოველი სილაბუსი შეიცავდეს ახსნა-განმარტებით რუბრიკას, რომელიც ასახავს ქულების ზუსტ დაყოფას/განაწილება.
5. მონიტორინგისა და განხილვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად უნდა შეაგროვოს და გააანალიზოს ინფორმაცია სტუდენტების დატვირთვის შესახებ (სასწავლო მასალების რაოდენობა, რომელიც უნდა დაიფაროს კურსის ფარგლებში, სტუდენტების საკითხავი გვერდების საერთო რაოდენობა), კრედიტების განაწილება სხვადასხვა საგნებზე კურსის შინაარსისა და სტუდენტების დატვირთვის მიხედვით, სასწავლო კურსების შუალედური და საბოლოო შეფასების მეთოდები (მათ შორის პროფესორის ასისტენტობა დოქტორანტურაში), შეფასების სქემის რუბრიკები სილაბუსებში და სხვ.
6. აუცილებელია დაინერგოს შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები (კითხვარები და ა.შ.) და მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს შეაფასონ პროგრამების კვლევითი კომპონენტი და ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

**რჩევები:**

1. ჩვენი რჩევაა, უცხო ენის საგამოცდო ტესტის CEFR B2 სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა ან ტესტის სირთულესთან უფრო თავსებადი დონის გამოყენება;
2. ყოველკვირეული მასალის (წიგნები, გვერდები) განყოფილება, რომელიც ამოღებულია განახლებული სილაბუსებიდან, ხელახლა უნდა შევიდეს სილაბუსებში, რათა უფრო ზუსტად გაიზომოს კორელაცია მასალასა და კრედიტის საათებს შორის და სწავლის შედეგების რეალისტური მიღწევადობა.
3. სილაბუსში უნდა იყოს უფრო დეტალური ინფორმაცია პრეზენტაციის შესახებ, როგორიცაა თემის არჩევის მექანიზმი (ლექტორთან

შეთანხმებით/დამოუკიდებლად/ლექტორის მიერ მოწოდებული სიიდან და ა.შ.), ზუსტი ვადები, საჭირო ვიზუალური საშუალებები, გამოყოფილი დრო, სანქცია პლაგიატის/გადაფარვის შემთხვევაში და ა.შ

4. კარგი იქნება, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაგეგმავს მეტ ტრენინგს ან განახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენება ასწავლოს.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამასახური უნდა გაძლიერდეს ფაკულტეტის დონეზე პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესში და პროგრამების შეფასება უნდა ჩატარდეს ეფექტურად. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სავალდებულო ფილტრი ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია პროგრამების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. პროგრამები უნდა დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში.
6. რეკომენდირებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავების/მოდიფიკაციის პროცესში; კერძოდ, სტუდენტის დატვირთვის ადეკვატურობის, კონკრეტული სასწავლო კურსებისთვის კრედიტების რაოდენობის შეფასებისას, სილაბუსებში გადაფარვის, შეფასების სქემების შემოწმებისას და ა.შ.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლოს პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:. რეკომენდაციები:**

1. ქართული ენის B2 დონის განსაზღვრა, როგორც წინაპირობა არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეების მიღებისთვის, ან ქართული ენის ინტენსიური კურსის პროგრამის სასწავლო კომპონენტის ოფიციალურ არჩევით ნაწილად შეთავაზება.
2. რეკომენდირებულია, განახლდეს სახელმძღვანელოები, მათ შორის დარგის გამოჩენილი უცხოელი წარმომადგენლების ნაშრომების სილაბუსებში და სასწავლო მასალაში უფრო

თანამედროვე სახელმძღვანელოების, სტატიებისა და სხვა მულტიმედიური წყაროების შეტანით. ყველა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სილაბუსები, ერთი ან ორი სავალდებულო სახელმძღვანელოთი, უნდა განახლდეს და გამდიდრდეს საბაზისო ლიტერატურის განყოფილება; სილაბუსებში, სადაც გონივრულზე მეტი სავალდებულო ლიტერატურაა, უნდა შემცირდეს ეს რიცხვი სწავლის შედეგების ადეკვატურად მისაღწევად

3. ჩვენი რეკომენდაციაა, ყოველი სილაბუსი შეიცავდეს ახსნა-განმარტებით რუბრიკას, რომელიც ასახავს ქულების ზუსტ დაყოფას/განაწილება.
4. მონიტორინგისა და განხილვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სისტემატურად უნდა შეაგროვოს და გააანალიზოს ინფორმაცია სტუდენტების დატვირთვის შესახებ (სასწავლო მასალების რაოდენობა, რომელიც უნდა დაიფაროს კურსის ფარგლებში, სტუდენტების საკითხავი გვერდების საერთო რაოდენობა), კრედიტების განაწილება სხვადასხვა საგნებზე კურსის შინაარსისა და სტუდენტების დატვირთვის მიხედვით, სასწავლო კურსების შუალედური და საბოლოო შეფასების მეთოდები (მათ შორის პროფესორის ასისტენტობა დოქტორანტურაში), შეფასების სქემის რუბრიკები სილაბუსებში და სხვ.
5. აუცილებელია დაინერგოს შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები (კითხვარები და ა.შ.) და მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს შეაფასონ პროგრამების კვლევითი კომპონენტი და ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

**რჩევები:**

1. ბსუ საშუალებას აძლევს უცხოელ სტუდენტებს ჩააბარონ სადოქტორო პროგრამაზე ქართული ენის მხოლოდ B1 დონეზე ცოდნით. ამ სტუდენტებისათვის სასარგებლო იქნება, თუ მათ მიეცემათ შესაძლებლობა გაიარონ ქართული ენის B2 და C1 დონის კურსები, სანამ ისინი თავიანთ ნაშრომებს ქართულად წერენ.
2. ყოველკვირეული მასალის (წიგნები, გვერდები) განყოფილება, რომელიც ამოღებულია განახლებული სილაბუსებიდან, ხელახლა უნდა შევიდეს სილაბუსებში, რათა უფრო ზუსტად გაიზომოს კორელაცია მასალასა და კრედიტის საათებს შორის და სწავლის შედეგების რეალისტური მიღწევადობა.
3. სილაბუსში უნდა იყოს უფრო დეტალური ინფორმაცია პრეზენტაციის შესახებ, როგორიცაა თემის არჩევის მექანიზმი (ლექტორთან შეთანხმებით/დამოუკიდებლად/ლექტორის მიერ მოწოდებული სიიდან და ა.შ.), ზუსტი ვადები, საჭირო ვიზუალური საშუალებები, გამოყოფილი დრო, სანქცია პლაგიატის/გადაფარვის შემთხვევაში და ა.შ
4. კარგი იქნება, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაგეგმავს მეტ ტრენინგს ან განახორციელებს სხვა ღონისძიებებს, რათა სტუდენტებსა და პროფესორებს საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენება ასწავლოს.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამასახური უნდა გაძლიერდეს ფაკულტეტის დონეზე პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესში და პროგრამების შეფასება უნდა ჩატარდეს ეფექტურად. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სავალდებულო ფილტრი ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია პროგრამების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. პროგრამები უნდა დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში.
6. რეკომენდირებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავების/მოდიფიკაციის პროცესში;

კერძოდ, სტუდენტის დატვირთვის ადეკვატურობის, კონკრეტული სასწავლო კურსებისთვის კრედიტების რაოდენობის შეფასებისას, სილაბუსებში გადაფარვის, შეფასების სქემების შემოწმებისას და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვლადიმერ ღლონტმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, „ლინგვისტიკისა" და "ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის შედარებითი კვლევების" სამაგისტრო, „ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 2023 წლის 31 მარტს.

**6. მეექვსე საკითხი:** სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ინფორმაციული ტექნოლოგიები Information Technologies |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი Bachelor of Information Technology |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება<br>0612 Database and Network Design and Administration |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 14 | განხორციელების ადგილი | სამეგრელო-ზემო სვანეთი, ზუგდიდი, 2100, ჯანაშიას ქ. №14, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

**√ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

**√ არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

მანანა ხაჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი 5 სტანდარტიდან 1-ლი სტანდარტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში, მე-2 და მე-3 სტანდარტები შეფასდა როგორც, შესაბამისია მოთხოვნებთან, ხოლო მე-4 და მე-5 სტანდარტები შეფასდა როგორც, მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან .

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების რექტორი, თეონა ხუფენია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშროლობისთვის და აღნიშნა, რომ პროგრამა რეგიონისთვის და ზოგადად ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პროგრამის ძლიერი მხარე არის ის რომ, უნივერსიტეტს აქვს მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ტექნოლოგიები, შესაბამისი პროგრამის განსახორციელებლად. ასევე აქვს ადამიანური რესურსი და ამ ნაწილში სტანდარტის მეტწილად შეფასება განაპირობა იმ ტიპის ხელშეკრულებების გაფორმებამ, რომელიც უფრო მეტ მდგრადობას უზრუნველყოფდა პროგრამის სხვა ქალაქიდან ჩამოსული პერსონალის შენარჩუნების კუთხით. უნივერსიტეტი ამ პროგრამას პირველად განახორციელებს, თუმცა უნივერსიტეტს აქვს გამოცდილება, პროგრამების მოწვეული პერსონალით და სხვა ქალაქიდან ჩამოსული პროფესორებით განხორციელებისა და პერსონალის მდგრადობის საკითხი საფრთხის ქვეშ არასდროს დამდგარა. ამისთვის უნივერსიტეტს ძალიან ბევრი ხელშემწყობი მექანიზმი აქვს, მათ შორის ფინანსური, იქნება ეს სახელფასო დანამატი, საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფა და დამოკიდებულება ინდივიდუალური მიდგომებით პროფესორებთან მათი საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესორები კონკურსის წესით მოდიან და ნებაყოფლობით აცხადებენ სურვილს მათთან თანამშრომლობის, შესაბამისად, მათი გადინების საფრთხე ნაკლებია.

ის რომ ადამიანური რესურსის ნაწილში ადგილობრივ პერსონალზე გაკეთდეს მეტი აქცენტი სწორი მიდგომაა, მაგრამ როდესაც საუბარია აკადემიური ხარისხის მქონე ადგილობრივ პირზე,

შეიძლება უსდ-მ ასეთი კადრები ვერ მოიძიოს. ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიარეს ხარისხის სამსახურთან და გამოცხადებული აქვთ, კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ადგილობრივი კადრებისთვის პროფესიული ნიშნით, რაც იმას ნიშნავს რომ ამ პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება ადგილობრივი პერსონალით და ადამიანური რესურსის ნაწილში პროგრამას პრობლემა არ შეექმნება.
პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თქვა რომ თვითონ პროგრამის აქტუალურობა ძალიან მაღალია, რადგან რეგიონში აღნიშნული მიმართულებით საერთოდ არ ხორციელდება საბაკალავრო პროგრამა. აქვე დაამატა, რომ ჰყავთ არაჩვეულებრივი დოქტორანტები, რომლებიც არიან ამ რეგიონიდან. უსდ ამ ყველაფერს უდგება როგორც ეროვნულ პროექტს. მისი თქმით, ექსპერტთა მიერ გაცემულ გარკვეულ რეკომენდაციებს იზიარებენ. მან ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გაცემული იყო საგნების განახლებასთან დაკავშირებით და რამდენადაც საინფორმაციო ტექნოლოგიები დაკავშირებულია რეალურ პროცესებთან, მუდმივად ხდება მისი განახლება, შესაბამისად, ყოველთვის, ყველა ეტაპზე საჭირო იქნება გარკვეული ცვლილებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. ყველაფერი გათვალისწინებული იქნება იმ მომენტიდან, როგორც კი დაიწყება პროგრამის განხორცილება .
მისივე თქმით, იყო ასევე შენიშვნა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მულტიმედიურ მიმართულებებს და გარკვეული მოსაზრებების გამო, ეს საგანი პროგრამიდან ამოიღეს.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადებას და საუბარი დაიწყო ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმას. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ უფრო რელევანტური უნდა ყოფილიყო პროგრამის ელემენტები. უსდ-ს წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის მექანიზმი რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სწავლის შედეგების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასება. პირდაპირი შეფასებისთვის, კონკრეტულად თითოეული პროგრამისთვის, სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია შესაბამისი მეთოდი. ამ შემთხვევაში, ჩართულმა პირებმა, განმახორციელებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, ხარისხის სამსახურთან თანმშრომლობით, შეიმუშავეს კურიკულუმის რუკა, სადაც აღწერილი იყო, თუ რომელი სასწავლო კურსი რა დონით ავითარებდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწორედ ამ კურიკულუმის რუკის შემდეგ შეიმუშავეს სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების გეგმა. ამ შემთხვევაში, განმახორციელებელი პერსონალის გადაწყვეტილებით, შეფასებას დააკვირდნენ არამარტო განმამტკიცებელი სასწავლო კურსებით, არამედ ისეთი სასწავლო კურსებით, რომლებიც გაცნობითი ხასიათის იყო, მაგრამ ეს იქიდან გამომდინარე რომ აღნიშნული განმამტკიცებელი სასწავლო კურსები ისწავლებოდა მე-8 სემესტრში, მე-7 სემესტრში კი მიიჩნიეს რომ საჭირო იყო შუალედური შეფასების ცოდნაც. ამ მიზნებიდან გამომდინარე აღმოჩნდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში აკადემიური წერა და ინგლისური ენა. გარდა ამისა, ცნობილია, რომ სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება აუცილებელია კონკრეტული დავალებით, რადგან საბოლოო შეფასებით არ ხდება სწავლის შედეგების შეფასება და ამ შემთხვევაში გამოყენებულია დასკვნითი გამოცდა, რომელშიც რამდენიმე პრაქტიკული დავალებაა მოცემული და ხასიათდება კომპლექსურობით, იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო კომპლექსური სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება .
რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ განმახორციელებელი პერსონალი ნაკლებად იცნობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, მისი თქმით, მაქსიმალური ძალისხმევით იყო ჩართული განმახორციელებელი პერსონალი, რაც ექსპერტებმაც აღნიშნეს და მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია, მათ უნდა იცოდნენ პროგრამის სამიზნე ნიშნულები და შესაბამისად, განმახორცილებელ პერსონალთან დაკავშირებით შეიმუშავეს პროგრამის სწავლის სამიზნე ნიშნულები. ჩანაწერში იკითხება რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ქმნის პროგრამის შეფასებისა და განვითარების შესაძლებლობებს უნივერსიტეტში, თავად ექსპერტებმა კი აღნიშნეს, რომ აკადემიური პერსონალის მხრიდან, იყო მზაობა, ჩართულიყვნენ

პროგრამის განხორციელებაში, რაც ინტერვიუებში ნათლად იყო დადასტურებული. პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში, უნივერისტეტის მექანიზმები უზრუნველყოფდა პროცესში ყველა პერსონალი ჩართულობას. გამოდინარე აქედან ეს უფრო რჩევა იქნებოდა, რაც სამომავლოდ იქნებოდა შესრულებული, რასაც ასევე უნივერისიტეტის რეგულაციები უზრუნველყოფდა თავისთავად .

ექსპერტი, თამარ გვიანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ რეგულაციები იყო გამართული და იძლეოდა იმის საშუალებას, რომ პროგრამა ყოფილიყო სრულფასოვნად შეფასებული. რაც შეეხებოდა სამიზნე ნიშნულებს და სასწავლო კურსებს, რომელიც მითითებული იყო როგორც შედეგზე გამსვლელი, შედეგს უზრუნველყოფდა როგორც საფუძვლების შექმნა, ასევე გაღრმავება. საუბარი იყო იმაზე, რომ მაგალითად „გააჩნია ინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების სფეროს შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა“ ამ შედეგის ფორმირებაში საეჭვოა, რომ მონაწილეობდეს აკადემიური წერა. ისევე როგორც, „გაიაზრებს და კრიტიკულად გააანალიზებს ინფორმაცის ტექნოლოგიების ფუნდამენტური და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ძირითად პრინციპებს“, ამ შედეგის შექმნაში მონაწილეობს ინგლისური ენა და ა.შ. ტრანსფერული უნარების განვითარებას ეს ნამდვილად ხელს უწყობს, მაგრამ უშუალოდ ამ დარგობრივი შედეგების ფორმირებაში, ის ვერც საფუძვლების და ვერც გაღრმავების დონეზე ვერ ჩაერთვება.

რაც შეეხება პერსონალის ინფორმირებას, სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, როდესაც კითხვა დაისვა პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ, პერსონალი საუბრობდა ძირითადად სილაბუსებში მითითებული შეფასების სისტემის შესახებ. სილაბუსებში რაც ეწერა, ამაზე ნამდვილად ჰქონდათ ინფორმაცია. ასევე ითვალისწინებდნენ იმას, რომ პროგრამა ახალია და თავად აღნიშნავდნენ იმას, რომ პროგრამა ახალი იყო და ყველა მექანიზმი ვერ იქნებოდა ობიექტური მიზეზების გამო გამოყენებული. საუბარი იყო იმ მექანიზმებზე, რომელიც თვითშეფასების ანგარიშში მითითებული იყო როგორც უკვე გამოყენებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. მაგალითად, უცხოეთის პროგრამებთან დადარება, რაზეც ინტერვიუს დროს მიიღეს სხვადასხვა განმარტება  და იგივე თვითშეფასების ანგარიშში დადგინდა სამიზნე ნიშნულები. თუ ეს სამიზნე ნიშნულები და მექანიზმები განისაზღვრა, შესაბამისად ის განისაზღვრებოდა პერსონალის მიერ და არა ხარისხის სამსახურის მიერ. ამ შემთხვევაში რატომ არ ფლობდა პერსონალი ინფორმაციას? ასევე ანალოგიურად ყველა რეკომენდაცია ეფუძნებოდა კონკრეტულ ქეისს, არამხოლოდ დოკუმენტურს, არამედ ინტერვიუს დროს მიღებულს, რაც აისახა დასკვნაში და რეკომენდაციებში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი, მამუკა ხუსკივაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გაეცნო დოკუმენტს, რომელიც ასახავდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, სადაც აღნიშნული იყო, რომ კვლევის განხორცილების მიზნით სურდათ გარკვეულ ამოცანებზე პასუხის მიღება. ერთ-ერთ ამოცანად აღნიშნავდნენ დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლას უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების და ზოგადად უმაღლესი საგანმანათლებლო ხარისხის მიმართ და ა.შ. და ითხოვა ამ საკთხის დაზუსტება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შრომის ბაზრის კვლევა დაუკვეთეს კომპეტენტურ ორგანიზაციას და ეს ჩანაწერი იყო ტექნიკური უზუსტობა. მას არანაირი კავშირი არ ქონდა სამედიცინო დაწესებულებასთან .

საბჭოს წევრი, ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა. მისი თქმით, დასკვნაში მოცემული ყო შეფასება, რომ სწავლის შედეგების აღწერა არ ითვალისწინებდა უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს და ასეთი შეფასება, სარეკომენდაციო ხასიათისაა. ასევე, გაცემული იყო რეკომენდაცია, სადაც ეწერა, რომ უნდა მომხდარიყო ცვლილებები სწავლის შედეგების ფორმულირებაში, დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრი, დაინტერესდა, ხომ არ ფიქრობდნენ თუ დარგობრივი მახასიათებელი სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაშინ აღნიშნული შენიშვნა, რეკომენდაციაში უნდა დარჩეს თუ რჩევაში უნდა გადავიდეს?

ექსპერტის თქმით, არასწორია, როდესაც იხარჯება გარკვეული რესურსი, იქმნება დარგობრივი მახასიათებელი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ის ხდება მხოლოდ სარეკომენდაციო დოკუმენტი. რამდენადაც უსაზღვროა საინფორმაციო ტექნოლოგიები, ეს მახასიათებელი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით შექმნილი დოკუმენტია, რომელიც სავალდებულოა საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ყველა პროგრამისათვის. რადგანაც კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას, ეს იყოს აუცილებელი მოთხოვნა და არა როგორც სარეკომენდაციო დოკუმენტი დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მიიჩნიეს, რომ ეს მახასიათებელი უნდა იყოს გათვალისწინებული. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ეს რეკომენდაცია.

თეონამ ხუფენია აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ძლიერი მხარე იყო ბაზრის კვლევა, მატერიალური რესურსები და მდგრადი ადამიანური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა, ამ მიმართულებით უსდ-ს მხოლოდ ეს პროგრამა ქონდა?

რაზეც უპასუხეს რომ უმაღლესში აქვთ ერთი, ხოლო პროფესიულში დაახლოებით ხუთი პროგრამა.

თამარ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ინტერვიუში მონაწილე ყველა დამსაქმებელმა თავისი ჩართულობის თუ არჩართულობის მიუხედავად, უკლებლივ ყველამ დაადასტურა დიდი დაინტერესება ამ პროგრამის მიმართ და აღნიშნა რომ ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა რეგიონისთვის.

თეონა ხუფენიამ დაამატა, რომ მათი უნივერსიტეტი ამ მიმართულებით იყო ყველაზე დიდი დამსაქმებელი რეგიონში და დიდი პრაქტიკის ობიექტი .

გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ?

რაზეც თეონა ხუფენიამ უპასუხა, რომ გათვლა ჰქონდათ დაახლოებით 20 სტუდენტზე.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 18:21 სთ**
**დასრულების დრო: 18:44 სთ**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2025 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.
**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 17**
**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვეტილება:** „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^{6}$ მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^{1}$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:.**
**რეკომენდაციები:**

1. მოხდეს ცვლილებები სწავლის შედეგების ფორმულირებაში დოკუმენტის „ინფორმაციისა დაკომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი“შესაბამისად;
2. განახლებული სწავლის შედეგების შესაბამისად შემუშავდეს და განახლდეს „მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა“.
3. რეკომენდებულია დოკუმენტში „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“ გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრული პროგრამის კომპონენტების რელევანტურობა, ასევე მიეთითოს შეფასების მეთოდები, რომელთა მეშვეობით იქნება შესაძლებელი დაგეგმილი შედეგის მიღწევის დადასტურება.
4. ძირითად საგანთა ნუსხას დაემატოს ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური საგანი;
5. საგნები „მონაცემთა დამუშავება SPSS სისტემაში“, „ღრუბლოვანი გამოთვლები“, „ნივთების ინტერნეტი“ გადანაცვლდეს არჩევით საგანთა ბლოკში;
6. ქსელურ ტექნოლოგიების, მონაცემთა ბაზების, ვებთან დაკავშირებულ საგნები შინაარსობრივად გაფაროვდნენ ცოდნის არის კონცეპტუალური საკითხებით;
7. საგნებში „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, „კალკულუსი 1 და 2“, „შესავალი მონაცემთა ბაზებში“ შეირჩეს შესაბამისი შინაარსის და სიახლის სახელმძღვანელო.
8. პროგრამის მდგრადობისათვის აუცილებელია მოხდეს ადგილობრივი კადრის მოძიება ან/და მოხდეს არსებულ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომელც არ შეუქმნის პრობლემას პროგრამის განხორციელებას.
9. შეივსოს საბიბლიოთეკო ფონდი პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებით ან/და რიდერებით (ბეჭდური ან/და ელექტრონული).
10. აუცილებელია პროგრამის გუნდს ჰქონდეს ერთიანი ხედვა როგორც პროგრამის, ასევე პროგრამის მიზნებისთვის შესწავლილი, მომზადებული და გამოყენებული ინფორმაციის შესახებ;
11. აუცილებელია პროგრამის პერსონალმა იცოდეს და იყენებდეს დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის, მათ შორის პროგრამის/პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების, მექანიზმებს;
12. რეკომენდებულია პროგრამის პერსონალისთვის დაიგეგმოს და სისტემატურად ტარდებოდეს საინფორმაციო შეხვედრები/ტრეინინგები, მათ შორის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების საკითხებზე;
13. აუცილებელია იყოს უზრუნველყოფილი დამსაქმებლებთან და დარგის სხვა სპეციალისტებთან სისტემატური კომუნიკაცია, პროგრამისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მათი ჩართულობის მექანიზმების ამოქმედება, მიღებული უკუკავშირის შესწავლა და გამოყენება;
14. რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
15. რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების სრულყოფას, ინტერნაციონალიაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას.

რჩევები:

1. პროგრამაში მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რა კომპეტენციები ექნებათ სტუდენტებს სწავლის დასრულების შემდეგ (მაგ.: ენობრივი კომპეტენცია, დისკურსული, სოციოკულტურული, ინტერკულტურული).
2. მიზანშეწონილია შემუშავდეს და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მიეწოდოს ინსტრუქცია, რომელშიც იქნება დეტალურად აღწერილი პროგრამის სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის წესი და თავისებურებები.
3. სასურველია ერთიანი ეროვნული გამოცდების კომპეტენციის ზღვარი მათემატიკასა ან/და ფიზიკაში აღემატებოდეს მინიმალურს და შესაბამისი ჩანაწერი გაკეთდეს პროგრამაში;
4. "სასურველია სილაბუსების სალექციო გეგმაში, ყოველი თემის შესაბამისად ცხადად მიეთითოს სასწავლო მასალა, თავებისა და გვერდების მითითებით. "
5. სასურველია კანონმდებლობით ნებადართული ელექტრონული სწავლების შესაძლებლობის ფარგლებში, დაწესებულებაში მოქმედი ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით შემუშავსეს პროგრამის განხორციელების პროცესში ელექტრონული სწავლებისა დანერგვისა და გამოყენების ხედვა.
6. მიზანშეწონილი პროგრამის დაგეგმვის და შეფასების მომწესრიგებელ და სხვა დოკუმენტებში (მათ შორის, პროგრამის კურიკულუმში) დროულად დაკორექტირდეს და გამოირიცხოს დღეისათვის გაუქმებული ტერმინების გამოყენება (მაგ., პროგრამის შედეგები „ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები“, „სპეციალობა“, „დამატებითი სპეციალობა“, „ძირითადისპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა“ და სხვ.);
7. მიზანშეწონილია დროულად განახლდეს დაწესებულების ვებგვერდზე (http://www.zssu.ge/zssu2/node/37) განთავსებული, უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;
8. მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების (პროგრამის ადამიანური რესუსების ნაწილში) შეფასება (რისკის ალბათობა, გავლენის ხარისხი, შესაძლო შედეგები) და მათი პრევენციის/მინიმალიზაციის მექანიზმების/გეგმის შემუშავება და ამოქმედება.
9. მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განახორციელოს რამდენიმე გარე შემფასებელმა, მათ შორის კურსდამთავრებულთა პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სხვადასხვა ჭრილში შეფასების შესაძლებლობას, მიღებული შედეგების ვალიდურობას და მათ გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, შუმდგომლობა დააყენა ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, რომელსაც ჰქონდა ორ წლიანი პირობითი აკრედიტაცია და 2023 წლის 30 მარტს გაუვიდა პირობითი აკრედიტაციის ვადა. ამ ორი წლის განმავლობაში მაქსიმალურად ცდილობდნენ პროგრამა მაქსიმალურად მოეყვანათ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში, თუმცა წამოეწიათ საკანონმდებლო ცვლილება რის გამოც ავტორიზებულ რეჟიმში პროგრამას აღარ ჰქონდა აკრედიტაციის ვადის გასვლის შემდეგ ავტორიზებულ რეჟიმში ფუნქციონირების შესაძლებლობა ამიტომ მაქსიმალურად დააჩქარეს, მოცემულ ეტაპზე უკვე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება აკრედიტაციის მინიჭებასთან დაკავშირებით. 2023 წლის 7 აპრილს ელოდებიან აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს და უახლოს პერიოდში მოხდება აკრედიტაციის საკითხის განხილვა საბჭოზე ამიტომ იყენებენ საკანონმდებლო შესაძლებლობას და მომართვას საბჭოს შუამდგომლობით, რომ ამ მაგისტრატურის 18 სტუდენტს, პირველ სასწავლო წელზე 11

სტუდენტი ირიცხება მეორე სასწავლო წელზე 7 სტუდენტი, მიეცეთ შესაძლებელობა სასწავლო სემესტრი აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულონ.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო სემესტრი აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინოს

**კენჭისყრის შედეგი:**
**მომხრე - 17**
**წინააღმდეგი -0**

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე - $3^2$ პუნქტის საბჭომ დაყენებული შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მიენიჭა უფლება "ფარმაციის" სამაგისტრომ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, მათი კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკრედიტაციის ვადი გასვლის მიუხედავად, სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო სემესტრი აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინოს.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 31 მარტის 19:00 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

